# შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა!

## —ამ დევიზით ვაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას

[illegible]



ქარხნის დირექტორი ს. შარაძენიძე კრების დაწყებამდე საამქროების უფროსებს, პარტორგანიზაციის მდივნებს აცნობს სოციალისტური შეჯიბრების ახალ ვალდებულებებს.

# ახალი დიდი ლაშქრობა

**რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ს. შარაძენიძის სიტყვიდან**

**დიდი** ბედნიერება მხვდა წილად. მონაწილეობა მივიღე სკკპ XXII ყრილობის მუშაობაში, რომელმაც მიიღო კომუნიზმის მშენებლობის ნათელი პროგრამა, სადაც ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახულია ლითონის წარმოების შემდგომი სწრაფი გადიდება. კერძოდ პროგრამაში ჩაწერილია, რომ ფოლადის გამოდნობა წელიწადში უნდა ავიყვანოთ 250 მილიონ ტონამდე.

ამ საპატიო ამოცანის განხორციელებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა. ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვუთხრათ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომ შვიდწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენი ქარხნის კოლექტივმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია.

შვიდწლედის განვლილ პერიოდში სისტემატურად მთელი მეტალურგიული ციკლით ვასრულებთ გეგმას და გეგმის გადამეტებით სამშობლოს დიდი რაოდენობით ვაძლევთ ფოლადს, თუჯს და მეტალურგიული წარმოების სხვა პროდუქციას.

სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი. ვალდებულება ვიკისრეთ ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით მიგვეცა სამშობლოსათვის 12.000 ტონა თუჯი, 16.000 ტონა ფოლადი, 23.000 ტონა ნაგლინი, 4.000 ტონა მილები. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულების შესრულება სამშობლოს ვადაზე ადრე უპატაკა.

ამ წარმატებას იმით მივაღწიეთ, რომ წარმოებაში ფართოდ დავნერგეთ ტექნიკის მიღწევები, შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. მაგალითად, ჩვენთან პირველად ევროპაში განხორციელდა ყველაზე მძლავრი მილსაგლინავი დგან „400" სრული ავტომატიზაცია. ამ სიახლემ 22 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით ქარხანა ჯერჯერობით არარენტაბელური საწარმოა. სახელმწიფოსაგან ვიღებთ დოტაციას. ამ ზარალიანობის შემცირებისათვის ჩვენი ქარხნის კოლექტივმა ცოტა როდი გააკეთა. მაგალითად, 1959 წელს წინა წელთან შედარებით ზარალი შემცირდა 17 პროცენტით, ხოლო წელს წინასწარი ვარაუდით 52 პროცენტით შემცირდება.

მაგრამ დღეს, როცა პარტიამ მიიღო კომუნიზმის მშენებლობის ნათელი პროგრამა, ზარალიანი წარმოების მოთმენა აღარ შეიძლება. მართალია, ობიექტური მიზეზების გამო დღემდე ეს ზარალიანობა ვერ მოვსპეთ, მაგრამ არის მიზეზებიც, რომელთა აღმოფხვრა მთლიანად დამოკიდებულია ქარხნის კოლექტივზე. მაგალითად, ავიღოთ მარტენის ღუმელების მოცდენა. ქარხანამ მიმდინარე წელს ერთგვარად შეამცირა მოცდენა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი როდია. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ღუმელების მოცდენა საწარმოში შეადგენდა 9 პროცენტს, მაშინ როცა საშუალო-საკავშირო ციფრი 8,5 პროცენტია, ხოლო მოწინავე ქარხნებში ეს მაჩვენებელი 6,7 პროცენტს შეადგენს. თუ ჩვენ მოკლე დროში მივუახლოვდებით მოწინავე ქარხნების მაჩვენებლებს, მაშინ საწარმოს შეუძლია მისცეს სამშობლოს ათეულ ათასობით ტონა ზეგეგმითი ფოლადი.

წარმოებაში გვყავს კარგი მექურეები თუჯის მდნობელი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ძამაშვილი, მეფოლადეები ი. ტაბატაძე და ზ. ყაველაშვილი, მილმგლინავი პ. ბენდიანიშვილი, მგლინავები რ. რიკამაძე და ნ. კურატაშვილი, საბოყვე ეზოს უბნის უფროსი დამსახურებული რაციონალიზატორი ს. სიხარულიძე და მრავალი სხვა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უახლოეს პერიოდისათვის ნოვატორთა დონეზე ავიყვანოთ ყველა ბრიგადის, ცვლისა და უბნის მაჩვენებელი, ამით მკვეთრად ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას, შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას და 1965 წლისათვის მთლიანად უარს ვიტყვით სახელმწიფო დოტაციაზე.

სკკპ პროგრამის მიღების შემდეგ ყოველდღიურად ძლიერდება მუშაობის ტემპი, იზრდება შრომითი მაჩვენებლები, სამშობლო გეგმის გადამეტებით იღებს ფოლადს, თუჯს და სხვა ნაწარმს, მაგრამ აღებული ტემპი სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვადამდე განვახორციელოთ სკკპ პროგრამით დასახული ამოცანები.

პროგრამაში ნათქვამია, რომ ორი ათეული წლის მანძილზე შევქმნათ კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზა. ეს იქნება წლები, როცა საბჭოთა კავშირი ეკონომიურად გაუსწრებს და შორს მოიტოვებს ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ახლანდელ საერთო მოცულობას.

პარტიის მიერ დასახული ეს ნათელი და რეალური პროგრამა უფლებას არ გვაძლევს ვიმუშაოთ ისეთი ტემპით, როგორითაც დღემდე ვმუშაობდით. ჩვენ შევისწავლეთ ქარხნის ყველა საამქროს, ცვლების, უბნების და ცალკეული ბრიგადების შესაძლებლობანი და იმ დასკვნამდე მივედით, რომ თუ წარმოების მაჩვენებელს ავიყვანთ ნოვატორთა მაჩვენებლის დონეზე, უფრო რაციონალურად გამოვიყენებთ მოწყობილობასა და დანადგარებს, 1980 წლისათვის გათვალისწინებულ წარმოების დონეს შეგვიძლია მივაღწიოთ 1975 წლისათვის.

ამოცანა ნათელია, შესაძლებლობა რეალურია, საჭიროა შრომის უფრო გონივრული მოწყობა და გაბედული იერიში ახალი ზღუდეების დასაპყრობად.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 273 (12187) | შაბათი, 2 დეკემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.


## რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსების საერთო კრების

# მიმართვა

### საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, ყველა მშრომელს

**ძვირფასო ამხანაგებო!**

შესანიშნავ პერიოდში ცხოვრობს ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის ხალხი. სკკპ XXII ყრილობამ მიიღო ახალი პროგრამა, რომელშიც დასახულია კომუნიზმის მშენებლობის ნათელი ამოცანები. მშრომელებს მიაჩნიათ, რომ ამ ისტორიული დოკუმენტით გამოხატულია გმირი საბჭოთა ხალხის სისხლხორცეული ინტერესები, მათი მისწრაფებანი და იმედები.

ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყველგან მშრომელები გულდასმით სწავლობენ ხალხთა ბედნიერი მომავლის — კომუნიზმის აშენების ნათელ პროგრამას და ახალი ენერგიით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შვიდწლედის ამოცანების შესრულების დასაჩქარებლად, კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

პარტიის ახალ პროგრამაში ჩაწერილია: გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა უახლოესი ათი წლის განმავლობაში — დაახლოებით ორნახევარჯერ, ოცი წლის განმავლობაში — სულ ცოტა ექვსჯერ.

განვლილ პერიოდში ქარხნის კოლექტივმა დიდ წარმატებას მიაღწია. სისტემატურად მთელი მეტალურგიული ციკლით ვასრულებთ გეგმას და გეგმის გადამეტებით სამშობლოს დიდი რაოდენობით ვაძლევთ ფოლადს, თუჯს და მეტალურგიული წარმოების სხვა პროდუქციას. ამ წარმატებას იმით მივაღწიეთ, რომ წარმოებაში ფართოდ დავნერგეთ ტექნიკის მიღწევები, შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ჩვენთან განხორციელდა ყველაზე მძლავრი მილსაგლინავი დგან „400" სრული ავტომატიზაცია. ამ სიახლემ 22 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

პარტიის ახალი პროგრამა გვავალებს, რომ ორი ათეული წლის მანძილზე შევქმნათ კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზა. ეს იქნება წლები, როცა საბჭოთა კავშირი ეკონომიურად გაუსწრებს და შორს მოიტოვებს ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ახლანდელ საერთო მოცულობას.

პროგრამა დიდ ამოცანებს გვისახავს მეტალურგებს. ფოლადის გამოდნობა წელიწადში უნდა ავიყვანოთ 250 მილიონ ტონამდე.

პარტიის მიერ დასახული ეს დიდი ამოცანები უფლებას არ გვაძლევს ვიმუშაოთ იმ ტემპით, როგორითაც დღემდე ვმუშაობდით.

ჩვენ შევისწავლეთ ქარხნის ყველა საამქროს, ცვლის, უბნის და ცალკეული ბრიგადების შესაძლებლობანი და ერთსულოვნად გადავწყვიტეთ:

**1. შვიდწლედის საკონტროლო ციფრებს შევასრულებთ:**

**თუჯისა — 1961 წელს, ფოლადისა — 1962 წელს, ნაგლინისა — 1962 წელს, მილებისა — 1963 წელს;**

**2. 1965 წელს გადავაჭარბებთ წარმოების საკონტროლო ციფრებს:**

**თუჯისა — 115 ათასი ტონით, ფოლადისა — 200 ათასი ტონით, ნაგლინისა — 160 ათასი ტონით, მილებისა — 45 ათასი ტონით;**

**3. 1965 წელს მივაღწევთ პროდუქციის თვითღირებულების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს ქარხნის რენტაბელურ მუშაობას;**

**4. 1965 წლისათვის განვახორციელებთ მილსაგლინავ დგან „140", სააგლომერაციო ფაბრიკის და კოქსქიმიური საამქროს კონცენტრატების მომზადების კომპლექსურ ავტომატიზაციას;**

**5. 1963 წელს მივაღწევთ შრომის ნაყოფიერებას, რომელიც საკონტროლო ციფრებით დასახულია 1965 წლისათვის.**

ვიღებთ რა ამ ახალ ვალდებულებებს, მოგმართავთ მოწოდებით მხარი დაუჭიროთ ჩვენს ინიციატივას, ახალი ძალით გააჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მშობლიური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

# კომუნიზმისათვის მებრძოლი რაზმი

**რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის ზ. ჟამიერაშვილის სიტყვიდან**

**პარტიის** ახალი პროგრამა, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, უდიდესი მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ამ ისტორიულ დოკუმენტში მოცემულია კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტული გზები და ამოცანები. ამ პროგრამის განხორციელება თვითეული საბჭოთა მოქალაქის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც რესპუბლიკაში წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია, ვადაზე ადრე შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი. ქვეყანას გეგმის გადამეტებით მიეცით ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი. შვიდწლედის ეკონომიურ ფონდში შეტანილია 800 ათასი მანეთი.

ქარხანაში დღითიდღე იზრდება კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების რიცხვი. ამჟამად 30 კოლექტივს მოპოვებული აქვს კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება, 1.000-ზე მეტი მუშა ატარებს კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელს. ყველა ისინი ღირსეულად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, სათავეში უდგანან ქარხნის მთელ კოლექტივს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ქარხანაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა პოლიტიკური განათლების ქსელი. 86 წრეში პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების სემინარებში გაერთიანებულია 1.764 კაცი.

თეორიული საკითხების შესწავლისა და მათი პრაქტიკულად გამოყენების საქმეში წარმოების მოწინავეებს უდიდეს დახმარებას უწევენ ტექნიკური კულტურის უნივერსიტეტი და ტექნიკური ინფორმაციის განყოფილება. ისინი სისტემატურად აწყობენ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის სხვადასხვა სახის ლექციებს, თეორიულ კონფერენციებს, პოლიტიკურ მოხსენებებს.

განსაკუთრებული გაქანება მიიღო პოლიტიკურმა აგიტაციამ და პარტიულმა პროპაგანდამ ახლა, როცა მიმდინარეობს პარტიის პროგრამისა და წესდების შესწავლა. ყველა ფორმა და საშუალება, პრესა, რადიო და სხვა გამოყენებულია იმისათვის, რომ თვითეულ მშრომელს გავაცნოთ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს ლითონის წარმოების შემდგომი სწრაფი ზრდა. ოც წელიწადში ჩვენი ქვეყნის მეტალურგებმა ფოლადის დნობა უნდა აიყვანონ 250 მილიონ ტონამდე წელიწადში. ეს დიდი და სერიოზული ამოცანაა. მაგრამ რუსთავის მეტალურგები მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ ამოცანის შესრულების საქმეში, ოცწლეულში პროდუქციის წარმოება გაზარდონ სამჯერ და ფოლადის გამოდნობის იმ დონეს, რაც 1980 წლისათვის არის გათვალისწინებული, მიაღწიონ 1975 წლისათვის.

ჩვენ, რუსთავის მეტალურგები, ჩვენი მებრძოლი რაზმი — პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ პარტიის პროგრამით გათვალისწინებული ამოცანები და ამით გარკვეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

# შთაგონებული შრომის სიხარული

**საბრძმედე საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის ა. ძამაშვილის სიტყვიდან**

**პარტიის** პროგრამაში, რომელიც დიდმა ყრილობამ მიიღო, ეკონომიური მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახულია ლითონის წარმოების შემდგომი გადიდება. კერძოდ, პროგრამაში ნათქვამია, რომ 20 წლის მანძილზე შავი მეტალურგია ისეთ დონეს მიაღწევს, რომ საშუალება გვექნება წელიწადში გამოვადნოთ დაახლოებით 250 მილიონი ტონა ფოლადი.

ამ ამოცანის განხორციელებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა.

მონდომება და საქმის სიყვარული ბევრს ნიშნავს. მიმდინარე წელს იყო პერიოდი, როცა სხვადასხვა მიზეზების გამო საამქრო ჩამორჩა გეგმის შესრულებაში. ეს ჩამორჩენა მალე გამოვასწორეთ. ახლა საამქროს კოლექტივი წარმატებით იბრძვის ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებას მოვიპოვებთ. ახლა საამქრო ყოველდღიურად იძლევა იმდენ თუჯს, რომ ჩვენ მადნის გამოდნობის 1965 წლის დონეს მივაღწიეთ.

ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი, რომ მუშაობის ამ ტემპს კიდევ გავაძლიერებთ და სამშობლოს ყოველდღიურად მივცემთ გეგმის გადამეტებით ათას ტონობით თუჯს, რითაც ღირსეულ წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.



ა. ფანცულაია.



ა. ძამაშვილი.



**29 ნოემბერს** გაიმართა რუსთავის მეტალურგთა კოლექტივის საერთო კრება, რომელმაც განიხილა წარმოების განვითარების პერსპექტივები. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შვიდწლედით დასახული ამოცანების შესრულების დაჩქარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, იმისათვის, რომ პარტიის ახალ პროგრამაში მოცემული მიზანდასახულობანი განაღდებულ იქნას ვადამდე. მათ აიღეს ახალი ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ადამიანებს, ყველა მშრომელს — ახალი ძალით გააჩაღონ შეჯიბრება.

# სიტყვა მტკიცე — საქმე რეალური

**მარტენის საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის ა. ფანცულაიას სიტყვიდან**

**სკკპ XXII** ყრილობამ მიიღო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ნათელი პროგრამა. მე, რიგით ქართველ მეფოლადეს, წილად მხვდა ბედნიერება დავსწრებოდი ამ ყრილობას და მონაწილეობა მიმეღო ახალი პროგრამის განხილვისა და მიღების საქმეში.

როცა ვისმენდი პროგრამის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია ჩვენს ქვეყანაში მეტალურგიის განვითარების შესახებ, ყრილობაზე დარცხვენილი არ ვმჯდარვარ, თავი ამაყად მეჭირა, ვინაიდან ჩვენი ქარხნის კოლექტივმა შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება იკისრა. სიტყვა ქაღალდზე როდი დავტოვეთ. ზოგიერთი პროდუქციის წარმოების საქმეში დროს გავუსწარით და სამშობლოს გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით ვაძლევთ თუჯს, ფოლადს და მეტალურგიული წარმოების სხვა ნაწარმს.

დღეს მიღწეულით ვერ დავკმაყოფილდებით. პროგრამაში ნათქვამია: ფოლადის გამოდნობა წელიწადში უნდა ავიყვანოთ 250 მილიონ ტონამდე.

ამ დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა მთავარი ყურადღება მივაქციოთ წარმოების ავტომატიზაციასა და კომპლექსურ მექანიზაციას. ამ მხრივ ჩვენს ქარხანაში მრავალი ღონისძიება განხორციელდა, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია.

ჩემი ბრიგადის სახელით პირობას ვაძლევ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომ დნობის ნახევარზე მეტს განვახორციელებთ ჩქაროსნული მეთოდით, ღუმელის რემონტის გაუკეთებლად განვახორციელებთ 600 დნობას და წლიურად სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივცემთ 2.000 ტონაზე მეტ ფოლადს.

ასეთი იქნება ჩვენი ბრიგადის წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

სიტყვებში გამოსულმა მეტალურგებმა — საგლინავი საამქროს კომუნისტური შრომის ცვლის უფროსმა ნ. ჭანტურიძემ და მილსაგლინავი საამქროს დგან „40" ოპერატორმა ნ. რევიამ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.



ნ. ჭანტურიძე.



ნ. რევია.



ს. სიხარულიძე.

# ზღვასი — დანაზოგიდან

**ბოყვების უბნის უფროსის ს. სიხარულიძის სიტყვიდან**

**პარტიის** ახალმა პროგრამამ, რომელშიც დასახულია ხალხთა ბედნიერი ცხოვრების ნათელი მომავალი, ყველა საბჭოთა ადამიანი აღაფრთოვანა ახალი გმირული შრომისათვის. სხვანაირად არც შეიძლება. დიადი მომავალი მხოლოდ თავდადებული შრომით შეიძლება შეიქმნას.

ბოყვების ეზოს უბანი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ვალში არ დარჩენილა. რამდენიმე ნადნობის ჩამოსხმის შემდეგ ბოყვები ვადაზე ადრე გამოდიოდა მწყობრიდან, ეს იწვევდა თუჯის დიდ გადახარჯვას, ფერხდებოდა ფოლადის ჩამოსხმა. ინჟინერ-ტექნიკოსებთან ერთად დიდხანს ვიფიქრეთ ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის. შეუპოვარმა ძიებამ კარგი შედეგი გამოიღო. შევიმუშავეთ ბოყვების ამონაგის ისეთი მასა, რომლის გამოყენების შემდეგ ბოყვები ნაცვლად 38 ჩამოსხმისა, ახლა უძლებს 50 ჩამოსხმას. ამ ღონისძიების განხორციელებამ ქარხანას მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია მისცა (ძველი ფულით).

წარმატებებით აღფრთოვანებულმა უბნის მუშაკებმა გულდასმით შევისწავლეთ ყველა შესაძლებლობანი, დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი და სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების პერიოდში ვალდებულება ვიკისრეთ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიით დაგვეზოგა იმდენი თანხა, რაც დაფარავდა უბნის მომსახურე პერსონალის ხელფასს და კიდევ ეკონომიას მივცემდით სახელმწიფოს. ეს პირობაც წარმატებით შევასრულეთ.

უბანზე გავაუქმეთ კონტროლიორების შტატი და გათავისუფლებული ადამიანები სხვა სამუშაოზე გამოვიყენეთ. ამან ხელფასის დიდი ეკონომია მოგვცა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ პროდუქციის ხარისხი გავაუარესეთ. არა, პირიქით, გავაუმჯობესეთ. ამას იმით მივაღწიეთ, რომ ამაღლდა უბნის მომსახურე პერსონალის პასუხისმგებლობა.

ყველა ამ წარმატებისათვის ჩვენს უბანს კომუნისტური შრომის უბნის საპატიო სახელი მიენიჭა. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ღირსეულად ვატარებთ ამ საპატიო სახელს. ვშრომობთ და ვცხოვრობთ კომუნისტურად.

რეზერვები ამოწურული როდია. ჩვენ მოვილაპარაკეთ და ერთსულოვნად გადავწყვიტეთ, რომ რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიით დავზოგოთ დიდი თანხები და ამით ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარების საქმეში.

სკკპ პროგრამა

**თანამედროვე მრეწველობის საფუძვლის — ლითონისა და სათბობის წარმოების შემდგომი სწრაფი გადიდება კვლავ დარჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად. 20 წლის მანძილზე შავი მეტალურგია ისეთ დონეს მიაღწევს, რომ საშუალება გვექნება გამოვადნოთ წელიწადში დაახლოებით 250 მილიონი ტონა ფოლადი.**



სურათზე: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში (მარჯვნივ) ეცნობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მუშაობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# მთელი ძალები — კომუნიზმის მშენებლობას!

## საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს VI პლენუმი

**თბილისის** რკინიგზელის სახლში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს VI გაფართოებული პლენუმი.

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის **მ. ლილაშვილის** მოხსენება „რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, — თქვა მომხსენებელმა, — გიგანტური ნიშანსვეტია მსოფლიო ისტორიის განვითარებაში. მან დასახა სსრ კავშირში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის წარმტაცი პერსპექტივები.

მთელი გულითა და გონებით აღიქვეს სკკპ XXII ყრილობის დელეგატებმა და საზღვარგარეთელმა სტუმრებმა, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელმა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებანი ყრილობაზე, რომლებიც გამსჭვალულია შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის მებრძოლი სულისკვეთებით.

პარტიის XX ყრილობამ დაგმო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო პიროვნების კულტი. მთელმა პარტიამ, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მხურვალედ მოიწონეს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, მისი ლენინური კურსი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, წარმატებით აღადგინეს და განავითარეს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები, დაძლიეს სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგები, გაანადგურეს მოლოტოვის, მალენკოვის, კაგანოვიჩისა და სხვების ფრაქციული ანტიპარტიული ჯგუფი, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს პარტიასა და ჩვენს ქვეყანას და ცდილობდნენ შეეცვალათ მისი პოლიტიკა, აეცდინათ პარტია ლენინური გზისათვის.

კომუნიზმის მშენებლობა მილიონობით მშრომელის საარსებო, შემოქმედებითი საქმე გახდა. საქართველოს სს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ყველგან საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად.

საქართველოს მშრომელებმა რომლებსაც სწორად აქვთ შეგნებული სკკპ პროგრამიდან გამომდინარე მთავარი ამოცანა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა, ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა კომუნისტური შრომისათვის.

ამხ. ლილაშვილი ამბობს, რომ საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, სწავლობენ პარტიის XXII ყრილობის მასალებს, რესპუბლიკის მშრომელები სულით და გულით იწონებენ სკკპ პროგრამას, სრულყოფენ თავიანთი მუშაობის მეთოდებს.

პარტიის XXII ყრილობაზე მიღებულ, სკკპ პროგრამის შთამაგონებელმა სიტყვებმა — ამბობს კამათის მონაწილე საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **თ. ბუაჩიძე**, — ჩვენი ქვეყნის მშრომელებში გამოიწვია შემოქმედებითი ენერგიის უმაგალითო მოზღვავება, მგზნებარე მისწრაფება უკეთ და უკეთ იშრომონ კომუნიზმისათვის.

— აფხაზეთის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, — განაცხადა აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ჯოხთაბერიძემ**, — დიდი აღფრთოვანებითა და სიხარულით შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელმაც მიიღო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამა.

სიტყვა ეძლევა სკკპ XXII ყრილობის დელეგატს კიროვის სახელობის თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორს **ნ. კიზივაძეს**:

— სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, — ამბობს იგი, — ყველა საბჭოთა ადამიანი შეხვდა როგორც მშობლიურ, ღვიძლ საქმეს, როგორც ლენინის პარტიის იმ საბრძოლო მოწოდებას, — რომ განვახორციელოთ დიადი კომუნისტური იდეალები.

ტრიბუნაზეა რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ჟორჟოლიანი**. იგი ლაპარაკობს დიდ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვეს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრების მონაწილეებმა, მძიმე წონის შემადგენლობათა ტარების ოსტატებმა გეგმის გადამეტებით გადაზიდეს ბევრი სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

— ჩვენი ავტონომიური ოლქის მშრომელები, — ამბობს სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ს. ჯიოევი**, — მხურვალედ იწონებენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიის დიად პროგრამას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

„მთავართბილმშენის" უფროსმა **გ. ქართველიშვილმა** აღნიშნა, რომ მშენებლები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს. მათ გააჩაღეს მუშაობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანათა შესასრულებლად.

ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის ტრესტების საწარმოთა კოლექტივების წარმატებებზე სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში უამბეს პლენუმის მონაწილეებს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ [illegible] და ტყიბულის ქვანახშირის [illegible] კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ზ. შარვაძემ**. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივის საწარმოო წარმატებებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა მქსოველმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ე. სოლომონიამ**.

ინტერესით მოისმინეს შეკრებილებმა ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის, სკკპ XXII ყრილობის დელეგატის **ი. ხაზარაძის** გამოსვლა.

— მკვეთრად გავადიდოთ ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, ბოსტნეულის, ხილის მოსავლიანობა და გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა — ასეთი ლოზუნგით მონაწილეობენ სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში საქართველოს საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, — ამბობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **მ. ჯაში**.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ჩიაევმა** აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში შვიდწლედის დამდეგიდან დანერგილია 995 ტექნიკური ღონისძიება, რის შედეგად დაიზოგა 35 მილიონი მანეთი.

განხილული საკითხის გამო მიღებულია დადგენილება.

პლენუმმა გადაწყვიტა საქართველოს პროფკავშირთა XI ყრილობა მოიწვიოს 1962 წლის აპრილში.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. გეგეშიძემ**. (საქდესი).

# მეცნიერების ახალი წარმატებებისათვის!

## ოთხი აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო სესია

**საბჭოთა** მეცნიერების დიდი რაზმის დაუცხრომელ შემოქმედებით ძიებათა შედეგები, მეცნიერებისა, რომლებიც მთელ თავიანთ გულის მგზნებარებას, მთელ თავიანთ ნიჭს კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს ახმარენ, განზოგადებულია ოთხი აკადემიის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის განსახილველად წარდგენილ 140-ზე მეტ მოხსენებაში. სესია მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი.

1 დეკემბერს მუშაობა დაიწყო ბევრმა სექციამ, რომლებზეც მოხსენებები წარადგინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების მეცნიერებმა. მეცნიერული დისკუსია წარმოებს კვლევითი მუშაობის იმ ძირითადი მიმართულებით, რომელიც განსაზღვრულია სკკპ პროგრამით, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით.

ფიზიკის სექციის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო ქართველ მეცნიერთა შრომები. მკვლევართა ჯგუფმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე. ანდრონიკაშვილის მეთაურობით მოახსენა სექციას კვლევის შედეგები დაბალი ტემპერატურის ფიზიკის, კერძოდ, ზედენადი ჰელიუმის დარგში.

დიდი ინტერესი გამოიწვია მეატომე მეცნიერთა ჯგუფის მოხსენებამ ირტ—2.000 რეაქტორის გამა-რადიაციული კონტურის შესახებ. ეს კონტური მსოფლიოში პირველად შექმნეს და განახორციელეს ახალგაზრდა ქართველმა ფიზიკოსებმა მოსკოველ მეცნიერებთან ერთად.

სექციამ დიდი ინტერესით მოისმინა აგრეთვე მოხსენებები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. ალექსეევსკისა „ლითონთა გალვანომაგნიტური თვისებები", პროფესორ გ. ხუციშვილისა „სპინური დიფუზია პარამაგნიტურ კრისტალებში" და სხვ.

მსოფლიოში ცნობილია ქართული მათემატიკური სკოლა, რომელსაც აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი მეთაურობს. ამიტომაც ესოდენ დიდი აუდიტორია შეკრიბა მათემატიკის სექციამ, რომლის სხდომები თბილისის უნივერსიტეტში მიმდინარეობს. ინტერესი გამოიწვია აკადემიკოს ლ. სედოვის მოხსენებამ „სასრული დეფორმაციების მქონე მყარ სხეულთა მექანიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ" და მთელმა რიგმა სხვა მოხსენებებმა.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ გეოლოგიის სექციაზე მოხსენება გააკეთა მთათა წარმოშობის პრობლემის შესახებ. გეოლოგიის სექციამ დიდი ინტერესით მოისმინა აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ძოწენიძის მოხსენება „ამიერკავკასიის პალეოგენური ვულკანიზმი" და მთელი რიგი სხვა მოხსენებანი.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ჯავახიშვილმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა გეოგრაფიის მეცნიერების განვითარების შესახებ საქართველოში.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ბიოლოგიის სექციის მუშაობა. მოხსენება, რომელიც შეიცავს ახალ მონაცემებს დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, გააკეთა აკადემიკოსმა ა. ოპარინმა. აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა მოხსენებაში აუდიტორიას გააცნო თავისი კვლევის შედეგები, რომლებშიც პირველად არის მოცემული იმის მეცნიერული დასაბუთება, რომ ცხოველს აქვს სივრცეში ორიენტაციის უნარი. დისკუსიაში აღინიშნა, რომ ამ შრომებმა დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ კოსმოსურ ფიზიოლოგიაში. გამოყენებითი ბოტანიკის განვითარებისა და საქართველოს მდიდარი კულტურული ფლორის შესწავლაში მისი მიღწევების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. მენაბდემ. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლ. ჯაფარიძემ სესიას გააცნო თავისი დაკვირვებები ვაზის ფესვების ცხოველმოქმედების ასაკობრივ და სეზონურ თავისებურებებზე.

სხვადასხვა სექციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ი. არტობოლევსკიმ, ვ. ვინოგრადოვმა; წევრმა-კორესპონდენტებმა მ. სტროგოვიჩმა, ვ. დიაჩენკომ; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ვ. მახალდიანმა, ი. დოლიძემ, გ. ლეონიძემ, ა. ჩიქობავამ და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სხვა მეცნიერებმა.

# მოგვესალმებიან სტუმრები

ჩვენი ინტერვიუ



## ლ. სედოვი,

### აკადემიკოსი

**ახლახან** დავბრუნდი რუსთავიდან, სადაც ვნახე სახელგანთქმული ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. ამ გიგანტური საწარმოს გაცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. რუსთავში ჩემთან ერთად იყვნენ ქართველი კოლეგები. ბევრ მათგანს აქამდისაც ვიცნობდი, ბევრი კი ახლა გავიცანი.

გაერთიანებული სამეცნიერო სესიები საშუალებას იძლევა ერთ დარგში მომუშავე მეცნიერებმა უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი, დავამყაროთ ურთიერთკონტაქტი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკები და მათ შორის საქართველო მეტად მდიდარი არიან ენერგეტიკული რესურსებით. ეს ქიმიური მეცნიერების, მეტალურგიის სწრაფი განვითარების საშუალებას იძლევა. საქართველოში შექმნილია მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები, რომლებითაც სამართლიანად ამაყობენ თქვენი მეცნიერები.

საქართველოს ქიმიკოსები იკვლევენ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს — ქიმიური პროცესებისა და სინთეზური მასალების მიღების ახალ ეფექტურ მეთოდებს ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების გზით, იმუშავებენ ახალ ეფექტურ პრეპარატებს ვაზისა და სხვა მცენარეთა ქლოროზის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყოველივე ეს ცნობილია ჩვენთვის. მოსკოველი ქიმიკოსები ეხმარებიან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერთა მიღწევებს ქიმიური კვლევის დარგში.

ჩვენს წინაშე ამჟამად განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას. სკკპ XXII ყრილობამ გრანდიოზული პრობლემები დაგვისახა მეცნიერ ქიმიკოსებს. ამ დიადი პროგრამით აღფრთოვანებულნი, ჩვენ, ბიოლოგებთან, ფიზიკოსებთან ერთად, თავდადებით ვიმუშავებთ, რომ უფრო განვავითაროთ ჩვენი მეცნიერება, ხელი შევუწყოთ როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

## ი. არტობოლევსკი,

### აკადემიკოსი



**ამიერკავკასიის** მოძმე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებულ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე, რომელიც რამდენიმე სექციად იმუშავებს, განხილული იქნება თანამედროვე მეცნიერების მეტად აქტუალური საკითხები.

უკვე თითქმის ტრადიციად იქცა ჩვენში გაერთიანებული სამეცნიერო სესიების მოწყობა. ასეთ შეკრებებზე ხდება საკითხების კოორდინაცია, რასაც პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ და რაც ცხოვრებით არის ნაკარნახევი, მეცნიერთა დაახლოება, ურთიერთგაცნობა, მუშაობაში პარალელიზმის აცდენა, ყოველივე ამით ხომ მეცნიერება წინ მიდის, ვითარდება.

ცნობილია, რა დიდად განვითარდა საქართველოში მათემატიკური მეცნიერება. ქართველი საბჭოთა მათემატიკოსების მრავალი შრომა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისაა, კერძოდ მათ წარმატებით იყენებენ თანამედროვე ტექნიკის უაღრესად აქტუალურ პრობლემათა გადასაწყვეტად.

ჩემთვის დიდად საინტერესოა დღევანდელი საიუბილეო სესია, რომელზეც მოვისმენთ როგორც ქართველ, ისე აზერბაიჯანელ და სომეხ მეცნიერთა საყურადღებო მოხსენებებს. სესიაზე მე გამოვდივარ მოხსენებით სასრული დეფორმაციების მქონე მყარ სხეულთა მექანიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

სულითა და გულით მივესალმები ქართველ ხალხს, საიუბილეო სესიის ყველა მონაწილეს, ჩემს მეგობარ ქართველ მეცნიერებს და ვუსურვებ მათ წარმატებებს შემდგომ მუშაობაში.

## ს. ვოლფკოვიჩი,

### აკადემიკოსი



**თანამედროვე** პირობებში, როდესაც ტექნიკურმა მეცნიერებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თეორიული მექანიკისა და ავტომატიზაციის პრობლემებს. კერძოდ ამ დარგში მიხდება მე მუშაობა ჩემ მრავალ კოლეგასთან და მოწაფესთან ერთად.

ჩვენი მრეწველობის შემდგომი განვითარება დიდად არის დამოკიდებული საწარმოო პროცესების ავტომატიზაციაზე და ისეთი მანქანების შექმნაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, საწარმოს შეუფერხებელ მუშაობას. ამ პრობლემებზე წარმატებით მუშაობენ ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მეცნიერებიც.

დღევანდელ სესიაზე, სადაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად თავს იყრიან ინჟინრები და ტექნიკოსებიც, განხილული იქნება მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. ამ სესიაზე მე გამოვდივარ მოხსენებით — მანქანა-ავტომატების ზოგიერთი ახალი მექანიზმის თეორიისათვის.

# ინდოეთი ტაშს უკრავს იური გაგარინს

საერთაშორისო ცხოვრება

დღეები, ცნობები, მიმოხილვა

**დელი**, 30 ნოემბერი. (საქდესი). ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მზარდი მეგობრობის მძლევარე დემონსტრაციად გადაიქცა დღეს მასობრივი მიტინგი დელიში, რომელიც მოაწყო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოებამ საბჭოთა კოსმონავტის იური გაგარინის პატივსაცემად.

რამლილ გრაუნდის მოედანი — სახალხო კრებების ტრადიციული ადგილი — ხალხით აივსო. დაახლოებით 80 ათასი ინდოელი მოვიდა აქ კოსმოსური მოგზაურობის პიონერის მოსასმენად. ზღვა ხალხში მოჩანს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები. საპატიო სტუმრების ტრიბუნის წინ ვეებერთელა ტრანსპარანტია: „მხურვალე სალამი პირველ კოსმონავტ გაგარინს".

ინდოეთის რკინიგზის ტრანსპორტის მინისტრმა ჯაგჯივან რამმა ინდოეთის მთავრობის და პირადად პრემიერ-მინისტრ ნერუს სახელით მიულოცა ი. გაგარინს შესანიშნავი მეცნიერული გმირობა. საბჭოთა კავშირმა, ხაზგასმით აღნიშნა ჯაგჯივან რამმა, იური გაგარინის კოსმოსში გაგზავნით განახორციელა კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება კოსმოსური მოგზაურობის შესახებ.

საპასუხო სიტყვაში იური გაგარინმა თქვა: საბჭოთა ხალხმა დიდი პატივი და ნდობა გამიწია, როცა დამავალა კოსმოსური სივრცეების შტურმი. ვფიქრობ, შორს აღარ არის ის დღე, როცა ადამიანის შრომით და ტალანტით შეიქმნება მძლავრი კოსმოსური ხომალდი, რომლითაც შორეული უცნობი სამყაროებისაკენ წავლენ რუსებიც და ინდოელებიც. და ვინც იცის, იქნებ, მისი მგზავრები ზოგიერთი თქვენგანი იყოს, ძვირფასო ინდოელო მეგობრებო. ადამიანის პროგრესის მწვერვალების მისაღწევად ხალხებს ესაჭიროებათ მშვიდობა. ჩვენ გვინდა ისეთი მსოფლიო, სადაც არ იქნება ომი და იარაღი, შიმშილი და გაჭირვება, ჩვენ მხარს ვუჭერთ ბედნიერ ცხოვრებას დედამიწაზე.

ცოცხალი ყვავილების გირლანდებით შემკობილი იური გაგარინი აღტაცებული ოვაციებით იღებს საპატიო საჩუქრებს ინდოელი მეგობრებისაგან. ინდოეთის ხალხური გუნდი ასრულებს სიმღერას გაგარინის შესახებ.

რამლილ გრაუნდის მოედნიდან იური გაგარინი საბჭოთა ელჩის ი. ა. ბენედიქტოვის თანხლებით წავიდა დელის საერთაშორისო სამრეწველო გამოფენის საბჭოთა პავილიონში. გამოფენის მნახველები მხურვალე ტაშით მიესალმნენ პირველ საბჭოთა კოსმონავტს.

**დელი**, 30 ნოემბერი. (საქდესი). არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო დღეს დელის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ათასობით ინდოელი და უცხოელი სტუდენტი შეიკრიბა უნივერსიტეტის ცენტრალურ შესასვლელთან. უნივერსიტეტის ეზოში მოვიდა ღია მანქანა, რომელშიც იჯდა სახელგანთქმული საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი. იგი აქ მოვიდა უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შესახვედრად. ყოველი მხრიდან გაისმის მისალმების შეძახილები.

მაიორ გაგარინს, რომელსაც უნივერსიტეტში მოგზაურობის დროს ახლდა სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი, შეხვდნენ უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერი სიდჰანტა, სტუდენტთა და მასწავლებელთა წარმომადგენლები. უნივერსიტეტის დაბის ხანმოკლე დათვალიერების შემდეგ ი. გაგარინი წავიდა ღია თეატრში, სადაც გაიმართა მიტინგი საბჭოთა გმირი კოსმონავტის პატივსაცემად. სტუდენტთა სახელით მაიორ გაგარინს მიესალმა დელის უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის პრეზიდენტი მადან სალუჯა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა იური გაგარინმა, რომელმაც დელის სტუდენტებს გადასცა საბჭოთა კავშირის სტუდენტების სალამი და უსურვა ინდოელ სტუდენტებს წარმატება სწავლასა და ახალი ინდოეთის მშენებლობაში. საბჭოთა კოსმონავტმა სტუდენტებს უამბო კოსმოსში ადამიანის პირველი გაფრენის შესახებ, აგრეთვე გაუზიარა თავისი მომავლის გეგმები. მიტინგის დასასრულს უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერმა სიდჰანტამ შეკრებილთა სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა იური გაგარინს უნივერსიტეტში მოსვლისათვის და უსურვა საბჭოთა კოსმონავტს შემდგომი წარმატებანი კოსმოსის ათვისებაში.

მიტინგი დამთავრდა. ი. გაგარინს სტუდენტთა სახელით მიართვეს სამახსოვრო საჩუქარი. ტაშის გრიალში ი. გაგარინმა დატოვა ახალგაზრდა სტუმართმოყვარე მასპინძლები.

# კუბის მთავრობის ახალი კანონი

**ჰავანა**, 29 ნოემბერი. (საქდესი). კონტრრევოლუციონერების მიერ მხეცურად მოკლული კუბელი ჭაბუკის მანუელ ასკუნსეს დაკრძალვის შემდეგ კუბის მინისტრთა საბჭომ მიიღო კანონი რევოლუციის მტრების საქმიანობის წინააღმდეგ.

ამ კანონის თანახმად, მანამდე, სანამ ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმი გარედან აგრესიით დაემუქრება ან წაახალისებს კონტრრევოლუციის საქმიანობას კუბაში, სიკვდილით დაისჯებიან: კონტრრევოლუციური ჯგუფების ორგანიზატორები და წევრები; ცეცხლის წამკიდების, დივერსიების, ტერორისტული აქტების მონაწილენი; პასუხისმგებელნი მკვლელობისათვის ან მკვლელობის ცდისათვის, თუ მკვლელობა ჩადენილია კონტრრევოლუციური მიზნით; ის პირნი, რომლებიც შემოვლენ კუბის ტერიტორიაზე დივერსიების მოსაწყობად ან ყოველგვარი სხვა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის, აგრეთვე კუბის ტერიტორიაზე შემოსევის მონაწილენი შეიარაღებული ჯგუფების შემადგენლობაში რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

იმ პირთა მამულები და სხვა ქონება, რომლებიც დამალავენ დივერსანტებს ან დახმარებას გაუწევენ მათ, ტერორისტებსა და სხვა კონტრრევოლუციონერებს, კონფისკებულ იქნება.

# მდგომარეობა გოას საზღვარზე

**დელი**, 30 ნოემბერი. (საქდესი). ინდოეთისა და პორტუგალიის კოლონია გოას საზღვარზე მდგომარეობა სულ უფრო დაძაბული ხდება. კოლონიური ხელისუფალთა მოქმედება, რომლებიც თავიანთ ჯარებს თავს უყრიან საზღვარზე, და პორტუგალიის სამხედრო ხომალდების მიერ სანაპირო წყლების განუწყვეტელი პატრულირება ინდოეთში მიაჩნიათ აშკარა პროვოკაციად, რომლის მიზანია „ძალის დემონსტრაცია" და ანტიკოლონიური გამოსვლების ყოველგვარი ცდის ჩახშობა. სიომარ მზადებასთან ერთად კოლონიური ხელისუფალნი განაგრძობენ სასტიკ რეპრესიებს ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. როგორც გოადან იუწყებიან, პოლიცია აპატიმრებს ყველა ევროპელს, რომ იგი სიმპათიით ეპყრობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

# ჩემი შენ გითხარი...

**ჟენევა**, 30 ნოემბერი. (საქდესი). მორიგი სხდომა სამი სახელმწიფოს თათბირისა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ დღეს გაიხსნა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ს. კ. ცარაპკინის თავმჯდომარეობით.

პირველმა სიტყვა აიღო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ა. დინმა. მის სიტყვას გულღვარძლიანი ხასიათი ჰქონდა არა მარტო საბჭოთა წინადადებების მიმართ, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის მიმართაც. ა. დინმა სცადა ყალბად წარმოედგინა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა და წინადადებანი, რომელთა მიზანია გადაიჭრას თათბირის განსახილველი პრობლემები. ამერიკის წარმომადგენლის არგუმენტები დაბნეული იყო და არ ეხებოდა საკითხის არსს. მისი გამოსვლა აშკარად ისახავდა მიზნად სხვისთვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა თათბირზე პირველი დღეებიდანვე შექმნილი არანორმალური ვითარებისათვის.

საბჭოთა წარმომადგენელმა საკადრისი პასუხი გასცა ა. დინს. თავის მოკლე გამოსვლაში ს. კ. ცარაპკინმა განაცხადა, რომ მას არა სურს თათბირი გადაიქცეს „ცივი ომის" პროპაგანდისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინსინუაციების ასპარეზად. რაც შეეხება, თქვა ს. კ. ცარაპკინმა, დასავლეთის დელეგატთა სურვილს მიიღონ დამატებითი ახსნა-განმარტება საბჭოთა წინადადებების შესახებ, მზად ვართ გავაკეთოთ ეს, თუმცა ხაზი უნდა გავუსვათ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ დაყენებულ მეტ წილ კითხვებზე პასუხი არის საბჭოთა მთავრობის განცხადებაში და ატომური და თერმოატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პროექტში.

შემდეგ თათბირის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სამი სახელმწიფოს თათბირის მორიგი სხდომა გადატანილ იქნეს 5 დეკემბრისათვის.

# კეთილშობილური, დედობრივი მიზანი

**ვაშინგტონი**, 30 ნოემბერი. (საქდესი). აქაურ პრესაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა ამერიკელ დ. ვილსონის წერილმა ნინო პეტრეს ასულ ხრუშჩოვასადმი. ვილსონი გამოვიდა ინიციატორად მოძრაობისა ლოზუნგით: „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის". ამას წინათ ვაშინგტონში გაიმართა მშვიდობის მომხრე ქალთა დემონსტრაცია, რომლის მონაწილეთა სახელით დ. ვილსონმა ნ. პ. ხრუშჩოვას და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მეუღლეს ჟ. კენედის გაუგზავნა წერილები, რომლებშიც ნათქვამია: „ვერც ერთი დედა ვერ მიიჩნევს თავის მოვალეობას შესრულებულად, სანამ იგი მხარს არ დაუჭერს სიცოცხლეს სიკვდილის წინააღმდეგ, მშვიდობას ომის წინააღმდეგ".

საპასუხო წერილში ნ. პ. ხრუშჩოვა ხაზს უსვამს, რომ ბრძოლა საკუთარი შვილების სიცოცხლის უფლებისათვის მახლობელია საბჭოთა ქალებისათვის — მილიონობით საბჭოთა დედამ, დამ, ქვრივმა დაკარგა ომში თავისი მახლობლები.

საბჭოთა მთავრობა ახლა წინადადებას იძლევა დაიდოს სამშვიდობო ხელშეკრულება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან. „ჩვენ ეს მიგვაჩნია უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, განიარაღებისა და მშვიდობის გზაზე. და ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ თქვენ შემოგვიერთდებით ამ მისწრაფებაში".

„ჩვენ მიგვაჩნია, — ნათქვამია დასასრულ წერილში, — რომ უნდა მივაღწიოთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას. როცა ამას მივაღწევთ, ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ატომურ საფრთხეს, ბოლოს მოვუღებთ მუდმივ საფრთხეს მშვიდობისადმი, და დედებს შეეძლებათ მშვიდად იფიქრონ თავიანთი შვილების მომავალზე. ჩვენ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგი ვართ, ჩვენ მხარს ვუჭერთ განიარაღებას, ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას".

ნ. პ. ხრუშჩოვას წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ქალებს ახარებთ ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა ორგანიზაციის შექმნა, რომელიც იბრძვის განიარაღებისა და მშვიდობისათვის. „ეს კეთილშობილური და ნამდვილად დედობრივი მიზანია".

პრესაში გამოქვეყნებულია აგრეთვე ჟ. კენედის პასუხი. წერილის ავტორი აცხადებს: „ვეთანხმები, რომ ქალებმა დიდი გავლენა უნდა მოვახდინოთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის სასარგებლოდ". „მაგრამ, — ამტკიცებს ჟ. კენედი, — ჩვენთვის მშვიდობის ერთადერთი გზაა ძლიერება და ამიტომ მხარი დაუჭირეთ ჩვენი მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ამ მიზანს ემსახურება".

# უცხოური იუმორი



„ახ რა მშვენიერი ბუნებაა... გვაკლია მხოლოდ ტელევიზორი".



„ქვილა სახეზეა"?

ასეთ შემთხვევაში კრიტიკა გადავდოთ შემდეგისათვის.

# ინგლისელ პარლამენტართა მოწოდება

**ლონდონი**, 1 დეკემბერი. (საქდესი). პარლამენტის წევრ ლეიბორისტთა ჯგუფმა თემთა პალატაში შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც გმობს სეატოს და მოუწოდებს ინგლისის მთავრობას გამოვიდეს ამ სამხედრო ბლოკიდან და უარი თქვას ყველა ვალდებულებაზე, რომლებსაც ეს ორგანიზაცია აკისრებს. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ სეატო ხელს არ უწყობს მშვიდობის შენარჩუნებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, იგი დაბრკოლებაა ლაოსის ნეიტრალიზაციის შესახებ შეთანხმების დადებისათვის. რეზოლუციის ავტორები გამოთქვამენ შიშს, რომ ინგლისის მონაწილეობას სეატოში შეუძლია ჩააბას იგი სამხედრო მოქმედებაში ნგო დინ დიემის რეჟიმის მხარდასაჭერად სამხრეთ ვიეტნამში.

# ამერიკის ხროვის პროვოკაციული მოქმედება

**დასავლეთ ბერლინი**, 30 ნოემბერი. საქდესის კორესპონდენტი ვ. ივანოვი იუწყება:

მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა ფრიდრიხშტრასეს საკონტროლო პუნქტის რაიონში სამხედრო პროვოკაციების მოწყობის „ოპერაცია", ამერიკის სამხედრო ხროვამ თავისი პროვოკაციები გადაიტანა ბერლინ-ჰელმშტადტის ავტოსტრადაზე, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადის. ამერიკელებმა ჯერ სცადეს თვითნებურად დაეწესებინათ ავტოსტრადაზე დღედაღამ პატრულირება ყოველ ორ საათში შეიარაღებული ჯარისკაცებიანი ჯიპების გაგზავნით. მაგრამ ეს წამოწყება აგრეთვე ჩაიფუშა. მაშინ ამერიკელმა გენერლებმა გადაწყვიტეს მიემართათ ახალი ფანდისათვის.

10 ნოემბრიდან ბერლინ-ჰელმშტადტის ავტოსტრადაზე სისტემატურად ორივე მიმართულებით დადიან ამერიკის ჯარები. ამ წამოწყების პროვოკაციული ხასიათი უკვე იქიდან ჩანს, რომ ამერიკელთა ასეულების გადაყვანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან დასავლეთ ბერლინში წარმოებს „ფრონტის ქალაქში" მანევრების მოწყობის საბაბით, სადაც, როგორც ცნობილია, პირობები სრულიად არ შეეფერება ამ მიზანს. ამავე დროს ცნობილია, რომ დასავლეთ გერმანიაში მყოფი ამერიკის ჯარები შედიან ნატოს არმიაში. მაშასადამე, დასავლეთ ბერლინში ამერიკის ქვეგანაყოფების „მანევრების" მოწყობა ნიშნავს დასავლეთ ბერლინის შეყვანას ნატოს სამხედრო აგრესიული ბლოკის სფეროში. ამიტომ ცხადია, რომ ამერიკის სამხედრო ხროვის ასეთი მოქმედება საშიშ შედეგებს შეიცავს.

ამერიკის საოკუპაციო ჯარები, რომლებიც განლაგებული არიან დასავლეთ ბერლინში, სამხედრო წვრთნის მოსაწყობად მიდიან დასავლეთ გერმანიაში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ბრუნდებიან დასავლეთ ბერლინში. ამ გზით ავტოსტრადაზე ამერიკის ჯარების განუწყვეტელი მოძრაობაა. ამასთან ხაგულისხმოა, რომ ამერიკის ჯარისკაცები ავტოსტრადაზე მოძრაობენ ავტომანქანებით გაჭიმულ კოლონებად და სრული საბრძოლო აღჭურვილობით. დასავლეთ ბერლინის პრესა არ მალავს, რომ სამხედრო დემონსტრაციები ავტოსტრადაზე ეწყობა იმისათვის, რომ „დაამტკიცოს ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება შეინარჩუნოს უკონტროლო მიმოსვლა დასავლეთ ბერლინსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის".

აქაური პოლიტიკური და ჟურნალისტთა წრეების აზრით, სამხედრო დემონსტრაციების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური რწმუნებული დასავლეთ ბერლინში გენერალი კლეი.





**ნორვეგიის** მუშები და მოსამსახურეები აქტიურ ბრძოლას ეწევიან შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ფასების მუდმივი ზრდის წინააღმდეგ.

**სურათზე**: დედაქალაქის მაღაზიის „ფროგნერის" შესასვლელთან. ამ მაღაზიის მფლობელი ცდილობდა გაეგრძელებინა მუშაობა შტეიკბრეხერების საშუალებით, მაგრამ მაღაზიასთან მდგომი პიკეტები მომხმარებლებს ეუბნებიან, რომ გამოცხადებულია გაფიცვა და ისინიც უკან ბრუნდებიან.

ფოტო ვ. ვავილოვისა.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

# ძველი კულტურის ᲙᲕᲐᲚᲗᲐᲜ

◊ **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ** უტყუარი ისტორია იწყება მხოლოდ დამწერლობის გაჩენის შემდეგ. ამა თუ იმ ერის წარსულის ნამდვილი შესწავლა არსებითად წერილობითი ძეგლების შესწავლას ეყრდნობა. ბუნებრივია, რომ ქართული დამწერლობის შემოღების ზუსტი თარიღის დადგენა, ქართული ანბანის სადაურობა ყოველთვის იყო ქართველ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. საკითხი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ 1881 წელს მეხუთე საარქეოლოგიო კრებაზე იყო წამოყენებული თბილისში დ. ბაქრაძისა და ი ლ. ოქრომჭედლიშვილის მიერ. დ. ბაქრაძემ თავისი შეხედულება გამოთქვა ნაშრომში „ისტორია საქართველოსი" (1889 წ.). ხოლო ილ. ოქრომჭედლიშვილმა თავისი შეხედულება ქართული ანბანის სადაურობის შესახებ გამოაქვეყნა საგანგებო ნარკვევში „ვინ მოიგონა ქართული ანბანი" („ივერია", № 10, 1881). ამავე საკითხს განიხილავდნენ სხვა ქართველი მეცნიერები, უცხოელი სპეციალისტები ზოგადი დამწერლობის ისტორიის დარგში, მაგრამ აღნიშნული საკითხების გარკვევას მეცნიერული საფუძველი შეუქმნა ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის შრომამ: ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1926.

ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების განხილვისა და გამოკვლევის შემდეგ იგი კრიტიკულად განიხილავს ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ გამოთქმულ თეორიებს (გვ. 188-198) და აჯამებს თავის კვლევას საყურადღებო დასკვნით „მე-5-6 ს-ზე უწინარეს დროის ქართული დამწერლობის ძეგლების ჯერ ხანობით აღმოუჩენლობა ქართული ანბანის სიძველის უცილობლად დამარღვეველ საბუთად ვერ გამოდგება მით უმეტეს, რომ წესიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩვენში ჯერ არ ყოფილა, მაგრამ მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს გარემოება, რომლის შესახებ ამჟამად არავითარი ცნობები არ მოიპოვება... ვფიქრობ მხოლოდ, რომ ეხლა მაინც სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის მე-5 ს-ში გამოგონების შესახებ და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ" (იქვე, გვ. 227-228).

მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა არამეული დამწერლობის ახალი ნიმუში, რომელიც იმდენად განსხვავდება ფალაურისა და სპარსული დამწერლობისაგან, რომ გ. წერეთელმა სავსებით მართებულად მას „არმაზული" დამწერლობა უწოდა (გ. წერეთელი, „არმაზის ბილინგვა", ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბილისი, 1942 გვ. 1-48). არმაზული დამწერლობის აღმოჩენამ ჩვენი მეცნიერების წინაშე დასახა გარკვეული პრობლემა, სახელდობრ არმაზული და ქართული დამწერლობათა ურთიერთობის გარკვევა, რომლის გადაწყვეტას აკად. გ. წერეთელმა სპეციალური შრომა უძღვნა. არმაზული დამწერლობა და ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა („აღმოსავლეთის ეპიგრაფიკა", მ.-ლ., II 1958, გვ. 90-101, III, 1949, გვ. 59-71 (რუს.). ავტორი, საგნის ღრმა ცოდნით აღჭურვილი, დაკვირვებული შედარებითი ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს მსგავსებისა და განსხვავების საყურადღებო ფაქტებს. ორივე დამწერლობა, გ. წერეთლის აზრით, მომდინარეობს საერთო წყაროდან — არამეული დამწერლობიდან. მაგრამ მათ შორის მრავალ შემთხვევაში არსებითი ხასიათის განსხვავებასაც აქვს ადგილი; ამასთანავე ქართულმა დამწერლობამ გარკვეულ ხანაში საერთოდ ბერძნული დამწერლობის გავლენა განიცადა. გ. წერეთლის დაკვირვებანი და ზოგადი დასკვნა თვალსაჩინო ნაბიჯია ქართული დამწერლობის მეცნიერული შესწავლის დარგში. საკითხის სრული გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ახალი ფაქტიური მასალის აღმოჩენისა და გამოვლინების შედეგად.

საინტერესოა გავიხსენოთ, როგორი შეხედულება იყო ძველად გავრცელებული ჩვენში ქართული დამწერლობის შესახებ. XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, ძველად საქართველოში, ქართლში: „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა". („ქართლის ცხოვრება", ტ. I, 1955 ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 16). ამ ცნობის ჭეშმარიტებას ადასტურებს ის გარემოება, რომ მცხეთა-არმაზში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია ბერძნული, ებრაული, სპარსული და არამეული წარწერები, რომელთა უმრავლესობა ეკუთვნის ქრისტიანობის დამკვიდრების წინა ხანას. ლეონტი მროველის თხზულებაში შენახულია ცნობა ქართული ანბანის გამოგონების დროისა და შემდგენელის პიროვნების შესახებ. ქართული „მწიგნობრობა" ლეონტი მროველს ფარნავაზ მეფის შემოღებულად მიაჩნია: „ამან განავრცო ენა ქართული, და აღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" („ქართლის ცხოვრება", გვ. 26). ივ. ჯავახიშვილის დასკვნით: „რადგან ეს ფარნავაზი XI ს. ამ ქართველ ისტორიკოსს საქართველოს სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წესწყობილების, იმგვარადვე როგორც სარწმუნოების, შემოქმედად ჰყავს გამოყვანილი და ზღაპრულ პიროვნებად არის ქცეული, ამიტომ ლეონტი მროველის ცნობას ქართული ანბანის შესახებ ფასი ეკარგება" (ივ. ჯავახიშვილი, იგივე შრომა, გვ. 188). ლეონტი მროველი უთუოდ ემყარებოდა ქართულ ეროვნულ ტრადიციულ შეხედულებას, რომელიც ქართული დამწერლობის შემოღებას ათარიღებდა მესამე საუკუნით (ძვ. წ.) და მიაწერდა ნახევრად ლეგენდარულ პიროვნებას, ქართლის მეფეს ფარნავაზს. ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ისეთ დიდ მოვლენას, როგორიც იყო ქართული დამწერლობის შემოღება, განუყრელად უკავშირებს ქართლის სამეფოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულის ჩამოყალიბებას; ფარნავაზი დიდი სამეფოს ხელისუფალი გახდა, იგი ქართლის სამეფო დინასტიის ფუძემდებელი შეიქმნა, რომელიც ფარნავაზიანთა დინასტიად იწოდებოდა და მრავალი საუკუნის მანძილზე მეფობდა. გავიხსენოთ ლეონტი მროველის სიტყვები: „ამან განავრცო ენა ქართული, და აღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული".

**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ** საისტორიო ტრადიცია ემყარებოდა ფაქტიურ მასალას, რომლის გამოვლინება და დადგენა ჩვენი მეცნიერების საპატიო ამოცანას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, პირველი ნიმუშები ქართული ეროვნული დამწერლობისა წარმოდგენილია ბოლნისის ტაძრის წარწერებით და პალესტინაში ახლახან აღმოჩენილი წარწერებით, რომლებიც შესრულებულია მოზაიკით (იხ. გ. წერეთელი „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან". თბილისი, 1960).

ყველა ეს წარწერები შინაარსისა და დამწერლობის მიხედვით მიეკუთვნება ზუსტად მეხუთე საუკუნეს, როგორც ეს მტკიცედ დადგენილია ჩვენი მეცნიერების მიერ. ირკვევა, რომ მეხუთე საუკუნეში საქართველოში მრგლოვანი ხუცური ასომთავრული დამწერლობა სუფევდა. ამ ძეგლების შესწავლა ადასტურებს, რომ ქართულ დამწერლობას სავსებით ჩამოყალიბებული სახე აქვს, თვითეული ნიშანი თავისი მოყვანილობით მკვეთრია. ამგვარი ჩამოყალიბებული სახე დამწერლობას შეეძლო მიეღო ხანგრძლივი არსებობის და განვითარების შედეგად. თუ ჩვენ შევისწავლით ასომთავრული დამწერლობის ძეგლებს რამდენიმე საუკუნის მანძილზე, ნათელი გახდება, რომ, ზოგიერთი ასოს მოხაზულობის არაარსებითი ხასიათის ცვლილების გარდა, მთელი დამწერლობა საუკუნეების მანძილზე არსებითად იგივე დარჩა. მე-5 საუკუნის მრგლოვან ხუცურ ასომთავრულ დამწერლობას ისეთი მკვეთრი, ჩამოყალიბებული სახე აქვს, რომ მას, თუ გავითვალისწინებთ სხვა ალფაბეტურ დამწერლობათა განვითარების ისტორიას, უთუოდ ხანგრძლივი განვითარების ისტორია ჰქონდა, რომელიც ჩვენმა დამწერლობამ განიცადა, ვიდრე იგი სავსებით ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა. აქედან სავსებით ცხადია, რომ მრგლოვანი ხუცური ასომთავრული დამწერლობის დასაწყისი ხანის ძეგლები ჯერ ხელთ არა გვაქვს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართული დამწერლობის შესწავლას უნებლიეთ ვიწყებთ მისი დასაწყისიდან კი არა, არამედ იმ დროიდან, როდესაც მას, ივ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნის თანახმად, „რამდენიმე, სულ ცოტა ორი დიდი საფეხური განვლილი ჰქონდა" (იგივე შრომა, გვ. 179). ქართულ დამწერლობას, ამავე მეცნიერის დასკვნით, „მახლობელი აღმოსავლეთის სხვა დამწერლობათა შორის სრული მსგავსებით უშუალო ნათესაობის ან დედნობის გამომჟღავნებელი არ მოეპოვება" (იგივე შრომა, გვ. 224). ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი ჩვენი ქვეყნის შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.



**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:** (ზემოთ) ენეოლითური ხანის თიხის ჭურჭელი პიქტოგრაფიული ნიშნებით (ამირანის გორა); (მარჯვნივ) პიქტოგრაფიული ნიშნები ენეოლითური ხანის თიხის ჭურჭელზე (ამირანის გორა).

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ ᲐᲠᲥᲐᲣᲚᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ


შალვა ამირანაშვილი

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ


საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიული მეცნიერების ძირითადი დარგების განვითარებამ, განსაკუთრებით კი ჩვენი ქვეყნის არქეოლოგიურმა შესწავლამ, სავსებით ახლებურად გააშუქა ქართული კულტურის წარმოშობის, მისი განვითარების ძირითადი საფეხურები, ნათელყო ის ფაქტი, რომ ქართული მოსახლეობის ძირითადი ფუძე ყოველთვის ცხოვრობდა იმ მიწაწყალზე, რომელიც დღეს ქართველ ხალხს უჭირავს; მისი გავრცელების რაიონი გაცილებით უფრო დიდი იყო ძველად, ვიდრე ამჟამად; დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ლითონის ადრეული პერიოდიდან (ე. წ. „ენეოლითიდან") გვაქვს ერთიანი ხაზი კულტურის განვითარებისა, რომელმაც მაღალ დონეს მიაღწია. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საწყისები ქართველ ტომთა კულტურისა ქრონოლოგიურად ემთხვევა ე. წ. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურის ისტორიულ განვითარებას. არქეოლოგიური მასალების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ქართველ ტომთა კულტურული კავშირი ძველი აღმოსავლეთის ცნობილ ქვეყნებთან და ამავე დროს ჩვენი ძველი მოსახლეობის კულტურის თვითმყოფობა.

შედარებითი შესწავლა იმ მასალისა, რომელიც მხატვრული კულტურის სფეროს ეკუთვნის, ამახვილებს ჩვენს ისტორიულ ძიებას და გარკვეულ პრობლემას აყენებს ჩვენს წინაშე. ენეოლითური და ბრინჯაოს კულტურის განვითარების მაღალი მხატვრული დონე უთუოდ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას დამწერლობა უნდა ჰქონოდა. შეუძლებელია, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას განვითარების მაღალ დონეზე საკუთარი დამწერლობა არა ჰქონოდა.





ბეჭედი შენობის გამოსახულებით 3.000 წ. ძვ. წ.

როგორია არქეოლოგიური მონაცემები უძველესი ხანის დამწერლობის არსებობის შესახებ? გადავიდეთ ფაქტიური მასალის განხილვაზე. 1961 წლის ზაფხულის თვეებში თრიალეთში, სახელდობრ დმანისის რაიონში, ე. წ. „ორთაშუა მინდორზე", რომელიც სოფლებს ყარაბულახსა და უსეინქენდს შუა მდებარეობს, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული ექსპედიციის მიერ გაითხარა დიდი მოცულობის ყორღანული სამარხი, რომლის დიამეტრი უდრის 100 მეტრს, ხოლო სიმაღლე 10 მეტრს. სამარხი წარმოადგენს სწორკუთხ ნაგებობას. მას აქვს მხოლოდ ერთი მოგრძო კორიდორისებური შესასვლელი, რომელიც თანდათან ვიწროვდება, რაც მეტად უახლოვდება სამარხის შესასვლელს. სამარხის ინვენტარი ეკუთვნის მთლიანად ადრეულ ბრინჯაოს ხანას. სამარხი უთუოდ წარმოადგენს გარკვეული სამშენებლო წესით შესრულებულ ნაგებობას, რომელიც ამოყვანილია უდუღაბოდ, ე. წ. მშრალი წესით ქვის წყობით. გარკვეულ სიმაღლეზე და სათანადო მანძილის დაშორებით ზოგიერთი ქვის ზედაპირზე ამოკაწრულია სხვადასხვა სახის ნიშნები, რომელთა აღნუსხვა და წინასწარი შესწავლა ამტკიცებს, რომ ქვაზე საგანგებოდ ამოკაწრულ ნიშნებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ორ შემთხვევაში (იხ. სურ. 1 და 2) საქმე გვაქვს ცხოველის მეტად სქემატურ გამოსახულებასთან: ერთ შემთხვევაში გამოსახულია ხარირემი, მეორე შემთხვევაში კი ფრინველი გაშლილი ფრთებით. ჰერალდიკური სახის. ორივე გამოსახულება სტილის მიხედვით ენათესავება აღმოსავლური გლიპტიკის ერთ ნაწარმოებს, რომელიც სირიული წარმოშობისაა და ეკუთვნის მეორე ათასწლეულს ძვ. წ. (დ. ი. ვიზემან, ღმერთები და ადამიანი, დასავლეთ — აზიის ცილინდრულ ბეჭდებზე, პრაგა, 1958, სურ. 48 (გერ.).



სხვა გამოსახულებათა შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ რამდენიმე განცალკევებული ჯგუფი. პირველ ყოვლისა უნდა გამოვყოთ კოშკისებური ნაგებობის სქემატური გამოსახულება, რომელიც გაყოფილია ჰორიზონტალური ხაზებით, ჩვეულებრივად ხუთ ნაწილად (იხ. სურ. 3). ერთ ამგვარ ნახაზზე თვითეული ნაწილის არეზე ამოკვეთილია მომრგვალო ჩაღრმავებული სამი პატარა წერტილი, რომლებიც მოთავსებულია მეტწილად ერთ რიგზე. გვხვდება ამ გამოსახულების ორი ვარიანტი. ერთ შემთხვევაში კოშკისებური ნაგებობის სქემა გაყოფილია ორად, არათანასწორ ნაწილად ჰორიზონტალური ხაზით. შიდა არეზე აგრეთვე სქემატურად ვიწრო ვერტიკალური კოშკის მაგვარი გამოსახულებაა, რომელიც თითქოს ნაგებობის შინაგან კონსტრუქციას გადმოგვცემს. მეორე ვარიანტი გვაძლევს ნაგებობის სქემატურ ნახაზს, ჰორიზონტალურად გაშლილს, რომელსაც კუთხეები შეერთებული აქვს ჰორიზონტალური ხაზებით.

ნაგებობის დასახელებული გამოსახულება მოგვაგონებს პროტოელამურსა და პროტოშუმერულ დამწერლობაში მიღებულ პიქტოგრაფიულ ნიშანს, რომელიც გავრცელებული იყო აქადურშიაც და აღნიშნავდა ნაგებობას. მ. რიუტენ, შუამდინარის ბეჭდები და ცილინდრები. ლუვრის მუზეუმი, პარიზი, 1936, სურ. 28, გვ. 70, სურ. 41, გვ. 73 (ფრანგ.) დ. ი. ვიზემან, იგივე შრომა, სურ. 37 და სხვ. (გერმ.) გარდა იმ ნახატებისა, რომელთა რაობა ირკვევა შედარებისა და გარკვეული ძიების შედეგად, არსებობს მრავალი არათანასწორი, მეტწილად ჰორიზონტალური ხაზებისაგან შემდგარი ნახაზები, ზოგ შემთხვევაში ვიწრო თანაბარ უჯრედებად დაყოფილი, რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ აღრიცხვითი უნდა იყოს. დიდი მოცულობის სამარხის კამერის აგება უთუოდ დიდ შრომას მოითხოვდა; სამუშაო, როგორც წესი, დაყოფილი იყო ცალკე უბნებად, შესრულებული სამუშაო უთუოდ აღინიშნებოდა პირობითი ნიშნით, ხაზების საშუალებით იქვე ქვაზე; ამას გვაფიქრებინებს ამგვარი პირობითი ნიშნების განაწილების შესწავლა, გამეორების გარკვეული წესის არსებობა. ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ აქ საქმე გვაქვს აღრიცხვის წესთან. ცნობილია, რომ დამწერლობის პირველი ცდები დაკავშირებულია აღრიცხვასთან. საქართველოში არსებობდა აღრიცხვის წესი ადრე ფეოდალურ ეპოქაში. ტაძრების აგების დროს, განსაკუთრებით თლილი ქვით მოპირკეთების დროს, ქვის მთლელნი (ანუ ხურონი) საკუთარ ნიშანს ამოკვეთდნენ ქვაზე. ამგვარი ნიშნების აღრიცხვა შესრულებულია გ. ჩუბინაშვილის მიერ მცხეთის მცირე და დიდი ჯვარის, წრომისა და ატენის სიონის ტაძრების არქიტექტურის შესწავლის დროს გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით („ჯვარის" ტიპის არქიტექტურული ძეგლები, თბილისი, 1948 გვ. 64), აღნიშნული (ქვის მთლელთა) ნიშნები სრულებით არ არის დაკავშირებული ტაძრების დეკორაციულ სისტემასთან, არამედ, პირიქით, როგორც წესი, მოთავსებულია თლილი ქვის კვადრებზე, რომლებიც დაყენებულია სხვადასხვანაირად. ამ ნიშნების შესწავლა ადასტურებს, რომ თითქმის ყველა ნიშანი თავისი მოხაზულობით დაკავშირებულია ალფაბეტურ დამწერლობასთან. მრავალჯერ გვხვდება მრგლოვანი ასომთავრული ნიშანი, ერთხელ კი (დემეტრე). ქვა, რომელზეც მოთავსებულია ქარაგმის ქვეშ სახელის აღმნიშვნელი წარწერა, უკუღმა (შებრუნებულად) დატანებულია კედლის წყობაში. გვხვდება სხვა ასოებიც ზოგ ასომთავრულ ასოს აქვს მრგლოვანი მოხაზულობა, ზოგს კი კუთხოვანი (წრომში), უკანასკნელი ფაქტი საინტერესოა იმ მხრივ, რომ უძველესი კუთხოვანი ასომთავრული დამწერლობის ნიშნები პირველად, როგორც ეს აღნიშნული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს, გვხვდება ქართულ-სასანურ მონეტებზე.

ცალკე ჯგუფს ეკუთვნის სიმბოლიური ხასიათის ნიშნები, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს ჯვრის მარტივი სახე, სვასტიკის და ვარსკვლავის. სამივე ნიშანი, როგორც ცნობილია, უძველესი ხანიდან გვხვდება როგორც საქართველოში, ისე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. პირველი ორი ნიშანი ცნობილია თრიალეთის კერამიკულ დეკორში. (ბ. ა. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1941, გვ. 85, ტაბ. XXIV (სურ.) და მ. რიუტენ. დასახ. შრომა, გვ. 70, სურ. 30. ცნობილია, რომ ვარსკვლავისებური გამოსახულება შუმერულ და შემდეგ ასურულ დამწერლობაში აღნიშნავდა: ზეცას (სუმ. ან), ღმერთს დინგირ, ილუ. იგი იყო ღვთაების აღმნიშვნელი დეტერმინატივი და იხმებოდა ღვთაების სახელის წინ. რა თქმა უნდა, ფეოდალურ ხანაში აღნიშნულმა ნიშნებმა უკვე დაკარგეს პირვანდელი გააზრება, ჯვარი გადაიქცა ქრისტიანობის გამომხატველ ნიშნად, ხოლო სხვა ნიშნებმა შეინარჩუნეს მხოლოდ მოხაზულობა, რომელსაც მხოლოდ დეკორაციული მნიშვნელობა მიენიჭა. ასეთივე ბედი ეწია შუბის წვერის ნიშანს, რომელსაც მეტად ძველი საწყისები აქვს. წმინდა დეკორაციული მნიშვნელობა შერჩა აგრეთვე ექვსქიმიან როზეტის გამოსახულებას და ხუთქიმიან ვარსკვლავს, რომელთაც მოეპოვებათ ადრინდელი ხანის საგულისხმო პარალელი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების ძეგლებში.

ამჟამად მსურს ყურადღება მივაქციო იმ ნიშნებს, რომლებიც შემოსულია ჩვენში სხვა არაქართული დამწერლობიდან. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მცხეთის დიდი ჯვრის ტაძრის ნიშნებს შორის სომხური ასომთავრული ნიშანი (თ), რომელიც მოცემულია აგრეთვე სხვა ვარიანტით , უკანასკნელი მოხაზულობის მთავრული ასო სომხურ დამწერლობაში არ იხმარება, ალბათ ქვის მთლელთა შორის იყო სომეხი ოსტატი, რომელიც ქართველ ოსტატებთან მონაწილეობას იღებდა თლილი ქვის დამზადებაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ნიშანს „ალფა", რომელიც ძალიან ხშირად იხმარება, მეტწილად ვერტიკალურად, ზოგ შემთხვევაში ჰორიზონტალურად. ცნობილია, რომ უკანასკნელი სახე ამ ნიშნის დამწერლობისა გაცილებით უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის და მომდინარეობს მე-9 საუკუნიდან ძვ. წ. (იხ. მესას წარწერა და სხვ). ქვის მთლელთა ნიშნების შედარებითი ანალიზი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მათ საფუძვლად აქვთ ალფაბეტური დამწერლობის ნიშნები, ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია ასომთავრული ასოები მრგლოვანი და კუთხური მოხაზულობისა, გარდა ამისა, გამოყენებულია ისეთი ნიშნები, რომლებიც შესაძლებელია ძველი აღმოსავლეთის ალფაბეტური დამწერლობიდან მომდინარეობენ, ხოლო ზოგი კიდევ უფრო ადრინდელი ხანიდან. ადრე ფეოდალურ ხანაში ამ ნიშნებს უკვე დაკარგული აქვთ პირვანდელი მნიშვნელობა, ისინი იხმარებიან თანაბრად იმ ნიშნებთან, რომელთა მოხაზულობა ეკუთვნის ადრე ფეოდალურ ხანას.

ოსტატების პირობითი ნიშნები, რომელთა ძირითადი დანიშნულება იყო შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა, ცნობილია ჩვენში კერამიკულ წარმოებაში. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ოსტატების ნიშნები ქვევრებზე, შესრულებული ჯერ კიდევ სველ თიხაზე გამოწვის წინ, რომლებიც გვხვდება დაბლაგომის ქვევრ-სამარხებში; მათი თარიღი სავსებით ზუსტად განსაზღვრულია 6-3-სს. ძვ. წ. სულ გვხვდება ცხრა ნიშანი (ბ. ა. კუფტინი, მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის II, თბილისი, 1950, გვ. 78-82, სურ. 19, ტაბ. 26-27 (რუს.) ჯერ კიდევ ბ. კუფტინის მიერ მართებულად



**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:** (ზემოთ) ბეჭედი-სიგელი ჯემდეთ-ნასრიდან (ბერლინი) 3.500-3.000 წ. ძვ. წ; (ქვემოთ) აქადური ბეჭედი ლუვრი.

იყო დასაბუთებული ის გარემოება, რომ ყველა ნიშანი გვარის აღმნიშვნელ გრაფიკულ გამოსახულებას არ წარმოადგენდა; თვითეული ნიშანი დამწერლობის ხასიათს ატარებს, უთუოდ ალფაბეტურ დამწერლობას ეკუთვნის. ასოების მოხაზულობა თუმცა მკვეთრია, მაგრამ ყველა ნიშანს ერთ რომელიმე ცნობილ ალფაბეტურ დამწერლობას ვერ მივაკუთვნებთ. პირიქით, ზოგიერთი ნიშანი მოგვაგონებს ქართულ ასომთავრულ ასოებს, ზოგი ბერძნულს, ზოგი კი ფალაურს. მათი უმრავლესობა კი მოგვაგონებს ქართულ ასომთავრულ დამწერლობას. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ სიმბოლიური ხასიათის ნიშნებიც, მაგ. სვასტიკა, ნიშანი და სხვ. აღმოჩენილი მასალა არ არის საკმარი იმისათვის, რომ ამ სიმბოლიკას ნათელი მოვფინოთ. ამჟამად შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ შემდეგი: დაბლაგომის კერამიკულ წარმოებაში ოსტატებს გამოუყენებიათ ალფაბეტური დამწერლობის ნიშნები, რომელთა უმრავლესობა ქართულ დამწერლობას ეკუთვნის, მცირე ნაწილი კი არაქართულს (ბერძნულსა და ფალაურს).

უთუოდ არქაული ხანის დამწერლობას ეკუთვნის ნიშნები, მოთავსებული თიხის ჭურჭელზე, რომელიც აღმოჩენილი იყო არქეოლოგ ტ. ჩუბინიშვილის მიერ ენეოლითური ხანის ნასოფლარის გათხრის დროს 1960 წ. (ამირანის გორა) ჯავახეთში. ნიშნები მოთავსებულია თიხის ჭურჭელზე ყელის ქვემოთ ერთ მწკრივად. დაკვირვება ადასტურებს, რომ ნიშნები განლაგებულია მარცხნიდან მარჯვნივ (იხ. ტბ. IV). ისინი ამოკაწრულია ჭურჭლის ზედაპირზე საკმაოდ ღრმად გამოწვის შემდეგ. ნიშნები არქეოლოგიური კომპლექსის მიხედვით ზუსტად თარიღდება მესამე ათასწლეულის დასაწყისით. მათი შესრულების მანერა გრაფიკულ ხასიათს ატარებს, გველისა და ფრინველის გამოსახულება სქემატურია და განზოგადებული.

ვიდრე თვითეული ნიშნის აღწერას შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ნიშანი პიქტოგრაფიულ ხასიათს ატარებს, გამოსახავს გარკვეულ მცნებას და არა ცალკე სიტყვას, მით [illegible] ფონეტიკურ ნიშანს; მაშასადამე, [illegible] ნიშნები ეკუთვნის დამწერლობის ადრეულ ხანას, როდესაც ნიშანი არსებითად [illegible] გამოხატავდა გარკვეულ ცნებას, იდეას.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ჭურჭელზე გამოსახული ნიშნები. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ხუთი ნიშანი (№№ 1, 3, 4, 6, 10) ერთნაირ ხასიათს ატარებს. არსებითად თვითეული ნიშანი გვაძლევს სწორკუთხედს, რომლის კუთხეები დიაგონალურად გადაკვეცილია ხაზებით, ხოლო თავისუფალი არე ნებისმიერად ამოვსებულია ხაზებით. არსებითად ჩვენ გვაქვს ერთი ნიშანი და მისი რამდენიმე ვარიანტი, რომელიც ერთ ცნებას აღნიშნავს. რას წარმოადგენს ეს ნიშანი, რას გამოსახავს იგი? ჩვენი აზრით, ეს ნიშანი გამოსახავს „საყდარს", რომელიც ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს მეფის „ტახტს-საყდარს" და სამსხვერპლოს ანუ „ბომონს", ამ ტიპის „საყდარი-ბომონი" ცნობილია ადრეული ხანის შუამდინარის ძეგლებზე (მაგ. ბეჭედი-სიგელი ჯემდეთ ნასრიდან. (წ. დ. ფ ლ ი ტ ნ ე რ, შუამდინარის და მეზობელ ქვეყნების კულტურა და ხელოვნება, გვ. 81 (რუს.) ადრეული პერიოდის ძეგლებზე „ბომონი-საყდარი" გამოსახულია სქემატურად, მხოლოდ ერთ გამოსახულებას აქვს ქალღმერთის (ინინას) სიმბოლიური ნიშანი, ხოლო მეორე უფრო დიდი ზომის ბომონ-საყდარს სიმბოლიური ნიშანი არა აქვს. უკვე უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებზე—ბაბილონისა და ასურეთის ხელოვნების ძეგლებზე დაახლოებით მე-12 საუკუნიდან ძვ. წ. ჩვენ ვპოულობთ „საყდართა" რეალისტურ გამოსახულებას, სადაც თვითეულ გამოსახულებას თან ახლავს სათანადო ნიშანი (მ. რ ი უ ტ ე ნ, ადრინდელი ხანის შუამდინარის ხელოვნება ლუვრის მუზეუმში, IV, პარიზი, 1936, გვ. 265, 266, 267 (ფრანგ.) მ. ი ა ს ტ რ ო ვ ი, სურათების ალბომი ასურელთა და ბაბილონელთა რელიგიის ისტორიიდან, გისენი, 1912, სურ. 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47. (გერმ.).

გაუგებარია მხოლოდ ერთი ნიშანი, სახელდობრ მეხუთე, რომელიც მოთავსებულია სხვა საყდარ-ბომონთა ნიშნებს შორის. იგი დამწერლობის ნიშანს არ უნდა წარმოადგენდეს. იგი ცნობილია აქადურ ბეჭედზე, რომელიც თარიღდება ზუსტად 2340-2180 ძვ. წ. (მ. რ ი უ ტ ე ნ, შუამდინარის ბეჭდები და ცილინდრები, № 3, ტ. II, № 47. პარიზი, 1936 (ფრანგ.) ამ ნიშანს არ მოეპოვება შუამდინარის არქაულ დამწერლობაში პარალელი, რაც ადასტურებს, რომ იგი დამწერლობას არ ეკუთვნის; ბეჭდის გამომცემელს ეს ნიშანი არა აქვს გამოცნობილი. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნიშნის ზემოთ მოთავსებულია მთვარის ქიმი, ქვემოთ კი ჩვეულებრივი ნიშანი შუმერული წარმოშობის, რომელიც შამუ ცას ღმერთს დინგირ ილუ-ს აღნიშნავდა. ამ გამოსახულების ქვემოთ მოთავსებულია შუბის წვერი, რომელიც უფრო მოგვიანო ხანაში ღვთაება მარდუკის სიმბოლიური ნიშანი იყო. ცნობილია, რომ ბომონზე მოთავსებული შუბის წვერი ჩვეულებრივი ატრიბუტია ღვთაება მარდუკისათვის ბაბილონისა და ასურეთის ხელოვნებაში.

**ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ** მნიშვნელობა უნდა მიექცეს იმას, რომ ღვთაება მთვარის გამოსახულებას უპირატესობა აქვს. იგი მოთავსებულია ზედა რიგში. ჩვენი აზრით, მთვარის გამოსახულება მოთავსებულია ბომონზე, რომელსაც სქემატური სახე აქვს. ამრიგად, ეს გამოუცნობი ნიშანი უთუოდ მთვარის ღვთაების ბომონი ანუ საყდარი უნდა იყოს. თუ ჩვენი მოსაზრება ჭეშმარიტებას უახლოვდება, მაშინ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ჩვენს ძეგლზე გამოსახულ ბომონთა ანუ საყდართა შორის ერთი ეკუთვნის უთუოდ მთვარის ღვთაებას. სხვა „საყდართა" გამოსახულება რომელ ღვთაებებს უნდა ეკუთვნოდეს, ამის დადგენა ჯერჯერობით ძნელია, ვინაიდან შედარებითი მასალა ჩვენთვის უცნობია.

ღვთაებათა სიმბოლიური ნიშნების გარჩევის შემდეგ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს გველის სტილიზებულ, მეტად სქემატურ გამოსახულებას (№ 2). მოხრილი სხეული, განსაკუთრებით თავის ფორმა, მოგვაგონებს სუმერულ პიქტოგრამას, რომელიც გველს აღნიშნავს. (მ. რ ი უ ტ ე ნ, პალეოგრაფიული შენიშვნები ლურსმული დამწერლობის შესახებ, პარიზი, 1940, № 26 (ფრანგ.) იგივე გველის საკრალური მნიშვნელობა შუამდინარის რელიგიებში, ქართულ ფოლკლორულ მასალებში საკმაოდ ცნობილია აღვნიშნავთ, რომ გველი ყოველთვის ახლავს ღვთაებათა სიმბოლოების გამოსახულებას, როგორც კოსმიური სფეროს ერთ-ერთი სიმბოლიური გამოსახულება.

განსაკუთრებით საინტერესოა ფრინველის გამოსახულება, რომელიც, მიუხედავად სქემატურობისა, გამოირჩევა თავისებური ექსპრესიით. ურუქის, ჯემდეთ-ნასრის და ურის არქაულ დამწერლობაში ხშირად ვპოულობთ ფრინველის გრაფიკული ხასიათის გამოსახულებას, რომელიც სტილის მიხედვით უახლოვდება ჩვენს გამოსახულებას (ტაბ. V), (მ. რ ი უ ტ ე ნ, იგივე შრომა, გვ. 33, № 11 (ფრანგ.) ფრინველის წინ (იხ. № 23, 24) გამოსახულია კვერცხი. ჩვენს ჭურჭელზე ფრინველის წინ სტილიზებული სახით გამოსახულია კვერცხები. სუმერულ დამწერლობაში დაბადებას, შობას აღნიშნავდნენ ფრინველისა და კვერცხის გამოსახულებით. ამ გამოსახულებაში მოცემულია სიცოცხლისა და გამრავლების იდეა. უძველეს შუმერულ თქმულებებში ღვთაება განსახიერებული იყო ფრინველის სახით. იგი დასაბამია ქვეყნის სიცოცხლის, ამავე დროს ნიაღვრისა და ქარიშხლის განსახიერება.



შუამდინარის არქაული დამწერლობა.

ზემოთ მოყვანილ მასალას, თუ შევაჯამებთ, მივიღებთ შემდეგ დასკვნას. ამირანის გორაზე ნაპოვნ თიხის ჭურჭელზე სიმბოლიური ნიშნებით გამოსახულია იმდროინდელი მოსახლეობის წარმოდგენები მთავარ ღვთაებათა შესახებ, აგრეთვე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ; გამოსახულებათა ხასიათი პირობითი სტილიზაციის მკაფიო ნიშნებს ატარებს. თვითეული ნიშანი გამოსახავს ცალკე ცნებას. როგორი იყო ამ ცნებათა ფონეტიკური გამოთქმა, ჩვენ არ ვიცით. არის თუ არა ამ ნახაზებში დამწერლობის ჩანასახი? ჩვენი მოსაზრებით, ამ სიმბოლიურ ნიშნებში უკვე არის ჩანასახი დამწერლობითი ნიშნების სახელდობრ ფრინველის გამოსახულების წინ არის ნიშანი, რომელიც თავისი ფორმით არქაულ დამწერლობაში კარგად არის ცნობილი (ურუქი, ჯემდეთ-ნასირი, ური, როგორც მდედრობითი სქესის მაჩვენებელი). ამ შემთხვევაში, იგი ალბათ იხმარებოდა როგორც დეტერმინატივი ფრინველის გამოსახულების წინ. ფრინველის გამოსახულების წინაშე კვერცხები ამ ნიშნის ხმარების მართებულობას სავსებით ადასტურებს.

არქაული დამწერლობის ნიმუშების ამოკითხვა არსებითად მომავალი კვლევითი მუშაობის ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ნაბიჯი უნდა გადაიდგას. უპირველეს ყოვლისა სათანადო მასშტაბით უნდა გაიშალოს არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ყველა რაიონში, პირველ რიგში კი თრიალეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. თავისთავად დამწერლობის ახალი ნიშნების აღმოჩენა-გამოვლინებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის შორეული წარსულის შესწავლის დარგში.

აქ უთუოდ დიდი სიფრთხილეა საჭირო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საჭიროა თავი შევიკავოთ აჩქარებული დასკვნების გამოტანისაგან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ცხოვრების ფურცლები“

**დიდი თეატრის სცენაზე**

## არამ ხაჩატურიანი: ბალანჩივაძის ბალეტი შესანიშნავია

ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ ახალი თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვა — მოსკოვის დიდი აკადემიური სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის ბალეტი „ცხოვრების ფურცლები“ (ლიბრეტო რსფსრ სახალხო არტისტის პროფესორ ლ. ლავროვსკისა).

დედაქალაქის პრესა გამოეხმაურა სპექტაკლს. გაზეთ „იზვესტიას“ ყოველკვირეული დამატება „ნედელია“ წერს: „ლირიკული დუეტები, რომლებითაც იხსნება და იხურება ბალეტი, ფრონტის სურათი, ჰეროიკული სამგლოვიარო მსვლელობა, უსახელო და უკვდავ ჯარისკაცთა პლასტიკური რეკვიემი, ფინალის ვარიაციები ბრწყინვალეა“.

ა. ბალანჩივაძის „ცხოვრების ფურცლები“, კრიტიკოსთა აზრით, ჩვენი დროის ადამიანებზე შექმნილი ამაღელვებელი ეპოპეაა.

გადავავლოთ თვალი ბალეტის სიუჟეტს.

ომის ქრილობებმოშუშებული, ალორძინებული სევასტოპოლი. ზღვის პირას ზეიმობს ახალგაზრდობა. აქ ვეცნობით ბალეტის გმირებს — სევასტოპოლის ბრძოლების მონაწილეს ანდრიას და მის ქალიშვილს ნინოს, ანდრიას დაღუპული მეგობრის შვილს გიორგის და გიორგის დედას თამარს.

ზღვისპირა ბაღში თამარის მოგონებებში გადაიშლება განვლილი ცხოვრების ფურცლები.

... სიყვარულის ჰიმნი. თამარისა და მისი სატრფოს გიორგის (თამარის შვილი მამის სახელს ატარებს) შეხვედრა. სიჭაბუკის დაუვიწყარი დღეები...

... შრომის ჰიმნი. მებადურები ზეიმობენ შრომაში მოპოვებულ გამარჯვებას. გიორგი — პირველი მებადური დიდ სიხარულს განიცდის: თამარის მოხუცმა მამამ საზეიმოდ გამოაცხადა თამარისა და გიორგის დაწინდვა. სიხარული მტრედივით აფართხალდა გულში, მაგრამ...

... იქუხა მეხმა და თამარისა და გიორგის სიყვარულს დაემუქრა საშინელი უბედური — ომი. თამარი აცილებს საყვარელ ადამიანს ფრონტზე.

... თვალწინ იშლება შესანიშნავი ბატალური სცენები. ანდრია და გიორგი იბრძვიან სევასტოპოლის მისადგომებთან. გულგანგმირული გიორგი სიკვდილის წინ ანდრიას გადასცემს საბრძოლო დროშას და თამარის ნაჩუქარ ცხვირსახოცს. გმირულად ეცემა სევასტოპოლის განთავისუფლების ჰეროიკული მელოდიები.

... გადაიშალა მოგონების კიდევ ერთი ფურცელი. თამარმა გაიგო შემაძრწუნებელი ამბავი: გიორგი მტრის ტყვიამ განგმირა. ზღვისპირა კლდეზე აიჭრება თამარი, თითქოს ცხოვრების არსი უნდა ამცნონ შორეულმა ჰორიზონტებმა. ღირს სიცოცხლე ამ ქვეყნად, ფიქრობს თამარი, ღირს იმიტომ, რომ თავისი პირმშო გიორგი გმირი მამის ღირსეულ შვილად აღზარდოს.

... თამარი გამოერკვა მოგონებიდან. მზე და სევასტოპოლის ვარდები, ომი თითქოს არც ყოფილა. პირმშოს და საბრძოლოს ღიმილი. ქღერს სიყვარულისა და სიცოცხლის ჰიმნი. ნეფეა გიორგი, დედოფალი — ნინო და, როგორც ოცი წლის წინათ თამარი და გიორგი, დღეს ჭაბუკი გიორგი და ქალწული ნინო ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებიან. ზეიმი, მშვიდობისა, სიცოცხლისა და სიყვარულის ზეიმი...

სპექტაკლის შემდეგ ვესაუბრეთ სსრ კავშირის სახალხო არტისტს, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორს არამ ხაჩატურიანს.

აი რა გვიამბო მან:

„ანდრია ბალანჩივაძე თვალსაჩინო საბჭოთა კომპოზიტორია. ამ უაღრესად ეროვნულმა კომპოზიტორმა გამოიმუშავა ისეთი მუსიკალური ენა, რომელიც ერთნაირად გასაგებია როგორც ქართველი, ისე სხვა ხალხებისათვის.

როგორც ყველა ხალხის მუსიკამ, ასევე ქართულმა მუსიკამაც განიცადა ეთნოგრაფიული ჩარჩოების მსხვრევისა და ზოგადკაცობრიულობამდე, ფილოსოფიურ განზოგადებამდე ამაღლების პროცესი. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძესაც ეკუთვნის“.

ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული, — ამბობს არამ ხაჩატურიანი, — სპექტაკლზე რომ მოვდიოდი დიდ თეატრში. — ბალეტი ბრწყინვალეა, — დასძენს იგი და განაგრძობს:

„ბალეტის მუსიკა შესანიშნავია. მუსიკა ისეა დაწერილი, რომ მისი მოსმენა სასიამოვნოა უსპექტაკლოდაც. ა. ბალანჩივაძის მუსიკის ხარისხი მაღალია, ბალეტის მრავალი ფურცელი ნამდვილად სიმფონიური მუსიკაა, მისთვის დამახასიათებელი ჭეშმარიტი სიმფონიზმის ელემენტებით; მუსიკალური სახეები ნათელი და ოსტატურად გამოძერწილია. ბალეტი ინსტრუმენტირებულია უმაღლეს დონეზე.

ბალეტი „ცხოვრების ფურცლები“ ჭეშმარიტად თანამედროვე მუსიკით არის დაწერილი. მისი მუსიკა თანამედროვეა ემოციურობით, გამომსახველობით, ეროვნული კოლორიტით, ღრმა შინაარსით.

„ცხოვრების ფურცლები“ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე დადგმულ ბალეტებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. მოსკოველმა მაყურებელმა ძალიან გულთბილად მიიღო იგი“.

ჩვენს კითხვაზე, თუ რომელი გმირი მოეწონა ყველაზე მეტად, გამოჩენილმა კომპოზიტორმა გვიპასუხა:

— რა თქმა უნდა, თამარი და მისი შემსრულებელი, სსრკ სახალხო არტისტი რაისა სტრუჩკოვა — ლაფაური, მუსიკაც, ქორეოგრაფიაც და შესრულებაც ამ როლისა გასაოცარ სიმაღლეზე დგას. ძალიან მომეწონა გიორგის როლში არტისტი მ. ლიეპაც.

დასასრულს არამ ხაჩატურიანმა გვითხრა: — ძალიან მინდოდა ამ ბალეტზე თვითონ დამეწერა რეცენზია, მაგრამ ამჟამად დიდ თეატრში დგამენ ჩემს ბალეტს „სპარტაკს“. ამიტომ ძალიან მოუცლელად ვარ. მიულოცეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ჩემი სახელით ქართული მუსიკალური კულტურის ეს გამარჯვება.

როგორც მოსკოვის პრესამ აღნიშნა, „ცხოვრების ფურცლებში“ დიდი თეატრის საბალეტო დასის პირველხარისხოვანი „ვარსკვლავები“ მონაწილეობენ.

მოსკოველმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო არა მარტო კომპოზიტორისა და მთავარი როლების შემსრულებლების, არამედ მთელი დასის; ბალეტმეისტერ-დამდგმელის რსფსრ სახალხო არტისტის ლ. ლავროვსკის, დირიჟორის რსფსრ დამსახურებული არტისტის ე. სვეტლანოვის, მხატვარ ვ. დორერის ნამუშევარი.

**ვლ. ალფენიძე.**

მოსკოვი, ნოემბერი.

• • •

**სურათებზე:** სცენები სპექტაკლიდან. (ქვემოთ) თამარი — რ. სტრუჩკოვა (სსრ კავშირის სახალხო არტისტი), გიორგი — მსახიობი მ. ლიეპა.
ფოტო ნ. სახოვსკისა.







პირველი ანბანი.

ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა.

# რატომ არ არის ქართული წიგნები?

**სამახსოვრო ბარათი „საქწიგნს“**

✦

— **ქართული** ენის თვითშემსწავლელი გაქვთ?

— არა გვაქვს.

— ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“?

— გვაქვს, მეორე ტომი.

— დანარჩენები სად ვიშოვოთ?

— გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ ჰკითხეთ.

— რა გაქვთ ქართულ ენაზე უკანასკნელ ხანს გამოცემული?

— მაინც რა გაინტერესებთ?

— პროზა, პოეზია.

— თითქმის არაფერი. — პასუხობს ქერა ქალიშვილი მყიდველებს.

ასეთი დიალოგი ყოველდღე იმართება მოსკოვში, კიროვის ქუჩაზე, მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ენებზე გამოცემული წიგნებით სავაჭრო მაღაზიაში.

— რატომ არა გაქვთ საჭირო ქართული წიგნები? გამყიდველმა გოგონამ არ იცის, დირექტორს ჰკითხეთ. დირექტორს ვკითხეთ.

დირექტორი, მიხეილ ისრაელის-ძე ბლეხმანი საქმიანი და ენერგიული კაცია. მას ძალიან უნდა ქართული წიგნებით „ტყდებოდეს“ მაღაზიის თაროები, მაგრამ „საქწიგნი“ არ ეხმარება.

ბლეხმანი დოკუმენტებს და მიწერ-მოწერის ქაღალდს მაწვდის. „თქვენს შეკვეთას ვ. წულეისკირის წიგნზე „ქართული ენის თვითშემსწავლელი“ ვერ ვასრულებთ. წიგნი გაყიდულია.“

— რა ვქნა, — ამბობს ბლეხმანი, — აქ წულეისკირის წიგნზე დიდი მოთხოვნაა. არა მჯერა, რომ „საქწიგნს“ 100-200 ეგზემპლარის გამოგზავნა მაინც არ შეეძლო დამატებით.

იქნება მართალია ბლეხმანი ამხანაგო საქწიგნელებო, ამხანაგო გამომცემლებო! რას იტყვით?

ბლეხმანს დოკუმენტებით ლაპარაკი უყვარს. „საქწიგნს“ მან არაერთხელ თხოვა გამოგვიგზავნეთ ქართველ კლასიკოსთა წიგნებიო. — ჩვენ ქართულ მხატვრულ ლიტერატურას ვთხოვთ, „საქწიგნიდან“ ტექნიკურ ლიტერატურას გვიგზავნიან. ჩვენ ქართველი ავტორების წიგნებს ვთხოვთ, ისინი რუსი მწერლების ქართულ თარგმანებს გვიგზავნიან. ეს ძალიან უკვირს ბლეხმანს.

— ამას წინათ ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავის“ 6 — ტომიანი გამოცემის მე-2 ტომი მივიღეთ, — ამბობს ბლეხმანი, — დანარჩენი ტომები ღმერთმა უწყის, სად არის. რა თქმა უნდა, მხოლოდ მე-2 ტომი მკითხველს არ უნდა. მივწერე წერილი „საქწიგნს“ 26 ოქტომბერს. დღეა 13 ნოემბერია, პასუხი არ ჩანს. ეს პირველი შემთხვევა როდია.

— ეტყობა „საქწიგნი“ მოსკოვში ქართული წიგნით ვაჭრობას კომერციული თვალით უყურებს და ამ საქმის ეროვნულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას სათანადოდ არ აფასებს.

**ვ. რაზმაძე.**

მოსკოვი.

**ფელეტონი**

# ქოლგა — „ვოლგა“

ლატარიის ბილეთები
გაცხრილა და... ქოლგა ნახა,
— „ვოლგა“!..
„ვოლგა“ მოვიგე! —
ყველას რიხით გადასძახა.

ერთ კვირაში „ვოლგაც“ გაჩნდა
(რაღა თქმა უნდა ლაპარაკი),
მაგრამ ახლა აფრასიონს
თვალწინ ედგა აგარაკი.

„ვოლგა“ თუ აქვს, აგარაკსაც
იქონიებს კაცი ბრძენი,
ხოლო შემდეგ შიგ ქალაქშიც
რაღათ უნდა სახლი ძველი...

აიშენა, დაიმშვენა,
შემოავლო გალავანი,
ქოლგა მისთვის ზეცა გახდა,
დედამიწა — ქალამანი.

საჩივრები? აფრასიონს
ბევრჯერ ეჯდა რევიზიაც.
აბა რა ქნან — სამსახურში
„ყველაფერი წესრიგში აქვს“.

მაგრამ ძველებს უთქვამთ: მუდამ
არ მოიტანს კოკა წყალსო.
მოელოდე კაცი უნდა
ცოდვა-ბრალის განკითხვასო...

აფრასიონს მეზობელი
ეუბნება ყოველ დილით:
— შენი „ვოლგა“ მოლისფერი
მალე ტაქსად ჩამოივლის.

გალავნიან სასახლეზეც
მოაწევსო ლაპარაკი,
ბავშვთა სახლად მართლაც კარგი
იქნებაო აგარაკი...

დღეს მოხდება, ხვალ მოხდება,
თქმა წინასწარ გვეძნელება,
მაგრამ გვიკვირს, რომ ზოგიერთს
ქოლგა „ვოლგად“ ეჩვენება...

**შოთა როყვა.**

# „ბედნიერი“ ბილეთები

**გუშინ** თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დამთავრდა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1961 წლის მეოთხე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

აი ზოგიერთი „ბედნიერი“ ბილეთი, რომელსაც დიდი მოგებები ხვდა: ავტომანქანები „ვოლგა“ მოიგეს 94677 სერიის № 016 და 87176 სერიის № 169 ბილეთების მფლობელებმა. ავტომანქანები „მოსკვიჩი“ წილად ხვდა 88554 სერიის № 060, 92469 სერიის № 065, 92478 სერიის № 154, 87620 სერიის № 082 და 91003 სერიის № 219 ბილეთებს. ერთბინიანი სამოთახიანი საცხოვრებელი სახლი მოიგო 89303 სერიის № 064 ბილეთის მფლობელმა. საწოლი ოთახის გარნიტურები შეხვდა 88300 სერიის № 070 და 95931 სერიის № 088 ბილეთების მფლობელებს. პიანინოები მოიგეს 87879 სერიის № 236, 89663 სერიის № 028, 95183 სერიის № 243, 87966 სერიის № 074 ბილეთებმა. ტელევიზორები „რეკორდი“ მოგებული აქვთ 95297 სერიის № 208, 91927 სერიის № 200 ბილეთებს. 500 მანეთი ფულადი მოგება წილად ხვდა 95010 სერიის № 186 ბილეთს, ხოლო 300 მანეთი — 88395 სერიის № 164 ბილეთებს.

გათამაშებულია ფულადი მოგებები, მაცივრები, რადიოლები, ქალის მაჯის საათები ოქროს კორპუსით, საკერავი მანქანები, მაგნიტოფონები და სხვ.

# კარგი საჩუქარი

**ჩვენი** რესპუბლიკის ისტორიის მასწავლებლები მოუთმენლად ელოდნენ საქართველოს ისტორიის ახლად შედგენილ სახელმძღვანელოს, რომელიც უკვე დიდი ტირაჟით გამოიცა. სახელმძღვანელო შეადგინეს პროფესორმა შ. მესხიამ და დოცენტმა ვ. გუჩუამ და იგი პრემირებულ იქნა ისტორიის სახელმძღვანელოებზე 1960 წელს გამოცხადებული კონკურსის ჟიურის მიერ. წიგნი მოიცავს პერიოდს უძველესი ხანიდან დღევანდლამდე და სსრ კავშირის ისტორიასთან ერთად მე-7-8 კლასებში ისწავლება როგორც ელემენტარული კურსი. ასეთი კურსით სწავლება ახლად შემოღებულია ჩვენს სკოლებში.

სახელმძღვანელოს ავტორთა წინაშე მეტად რთული ამოცანა იდგა. მათ უნდა მოეცათ მოკლე და თანმიმდევრული თხრობა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და აწმყოს შესახებ. უნდა გაეთვალისწინებინათ ის პროგრამული მითითება, რომ მე-7-8 კლასის მოსწავლეები ამ ეტაპზე ცოდნის მინიმუმს იღებენ, რითაც უფროს კლასებში სრული კურსის შესასწავლად მზადდებიან.

სახელმძღვანელო ძირითადად ამართლებს მის წინაშე დასახულ ამოცანას. მასში მკაფიოდ, გასაგები ენით არის მოთხრობილი ყოველი ფორმაციის პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარების ყველა ძირითადი მომენტი, რომელიც აუცილებელია მე-7-8 კლასში აღნიშნული კურსის სწავლებისათვის.

აღნიშნული სახელმძღვანელო გამოსცა გამომცემლობა „ცოდნამ“. წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, სახელმძღვანელო შეიცავს 210 გვერდს და ღირს 23 კაპიკი.

**ს. გამსახურდია.**

## ახალი სკოლა

**ბოლნისი.** (საკ. კორ.). სოფელ ფახრალოში გაიხსნა ახალი საშუალო სკოლა.

სკოლის შენობა მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფით. მშენებლობა განახორციელა საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭომ, ფახრალოს კოლმეურნეობამ ააშენა საკუთარი დანაზოგით.

ახალი სკოლის შენობა საშუალებას იძლევა სწავლა ამ სოფელში ერთ ცვლად მოეწყოს.

# ხელოვნების ქრონიკა

**ახალი დადგმა**

**ამას** წინათ შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ვ. კანდელაკის სპექტაკლი „ერთხელ დახოცილები“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორს ნ. დეისაძეს, მხატვრული გაფორმება — დ. ჭიჭონაიას. სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა გ. სებუამ. მთავარი როლები შეასრულეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. როგავამ, გ. წერეთელმა, პ. ქირიამ, ნ. ურუშაძემ, შ. ნიკოლიშვილმა, მ. ტოგონიძემ და სხვ.

მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

**ვ. ცომაია.**

**„მზექალა“**

**ონი.** (საკ. კორ.). მაღალმთიან სოფელს ღებს შესანიშნავი კულტურის სახლი აქვს. აქ ხშირად უჩვენებენ კინოფილმებს, იმართება კონცერტები, სპექტაკლები. ამ დღეებში დრამატულმა კოლექტივმა, რომელსაც ო. გავაშელი ხელმძღვანელობს ღებელებს უჩვენა ქ. ცინცაძის სამმოქმედებიანი პიესა „მზექალა“.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ზ. გავაშელაშვილმა, კ. გობეჯიშვილმა, ლ. ლობჟანიძემ და სხვ.

# კომპოზიტორთა გასვლითი პლენუმი

**სოხუმი.** (საკ. კორ.). ამას წინათ სოხუმში გაიმართა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გასვლითი პლენუმი. აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის სოხუმის საზაფხულო თეატრში შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს ა. ბალანჩივაძის, ა. ბუკიას, ო. გორდელის, ნ. გუდიაშვილის, მ. დავითაშვილის, ბ. კვერნაძის, რ. ლაღიძის, ა. მაჭავარიანის, შ. მშველიძის, ო. თაქთაქიშვილის, დ. თორაძის, ო. თევდორაძის, ს. ცინცაძის, დ. ჩხეიძის, ა. შავერზაშვილისა და სხვათა ნაწარმოებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი (მთავარი დირიჟორი ლ. კილაძე), სოლისტები სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბ. კრაველიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ო. კუზნეცოვა, ი. შუშანია და სხვ.

# მატჩ-რევანში

**მატჩ-რევანში** მსოფლიოს პირველობაზე ასუჯრედიან შაშში მსოფლიოს ჩემპიონ შჩეგოლევსა და ექს-ჩემპიონ კუპერმანს შორის დასასრულს უახლოვდება. მოსკოვში, კიევში და მინსკში გამართულ შეხვედრათა შემდეგ ბრძოლამ ვილნიუსში გადაინაცვლა.

30 ნოემბერს გაიმართა მორიგი მე-13 პარტია. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ 59-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 7:6 კუპერმანის სასარგებლოდ.

# ამბები, ცნობები, ფაქტები

## საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა კოლექტივების ერთმა ჯგუფმა დაამთავრა ტურნე საზღვარგარეთ, ნაწილი განაგრძობს გამოსვლებს ლათინურ ამერიკაში, ინდოეთში, რუმინეთში. ეს გუნდებია — თბილისის „დინამო“, არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი და კიშინიოვის „მოლდოვა“.

კიშინიოველებმა რუმინეთში თავიანთი ტურნეს მორიგი მატჩი გამართეს ქ. სუჩავაში ადგილობრივ „დინამოსთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

**რიო-დე-ჟანეირო,** 1 დეკემბერი. (საკდესი). თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მეორე მატჩი ითამაშეს ბოლივიაში. ქალაქ კოჩაბამბაში მათ ფრედ 1 : 1 დაამთავრეს შეხვედრა „ვილსტერმენის“ გუნდთან.

# კომუნისტი სპორტი

## „მოგზაურობა სასარგებლო იყო!“

**მონტევიდეო,** 1 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა და ურუგვაელი ფეხბურთელების მატჩის შემდეგ დედაქალაქის ყველა გაზეთმა დიდი სათაურით დაბეჭდა ანგარიში ამ შეხვედრის შესახებ.

თუმცა ჩვენს ნაკრებს ჰქონდა გამარჯვების შანსი, წერენ ურუგვაელი ჟურნალისტები, მაგრამ მასპინძლების მაღალი ინდივიდუალური თამაში უძლური აღმოჩნდა საბჭოთა გუნდის კოლექტიური და სწრაფი თამაშის წინაშე.

მატჩის შემდეგ კორესპონდენტებმა იერიში მიიტანეს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელზე გ. კაჩალინზე, ცდილობდნენ მიეღოთ ინტერვიუ „პირველადი წყაროდან“. კაჩალინმა შეაფასა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის თამაში მონტევიდეოში და თქვა: „ჩვენ ვიცოდით, რომ ძნელი შეხვედრა მოგველოდა, ურუგვაის გუნდი ძალიან კარგი გუნდია. იგი გამოირჩევა მშვენიერი ტექნიკითა და დაკვირვებული ტაქტიკით“.

კაჩალინმა აღნიშნა, რომ ურუგვაის ნაკრები მარტოოდენ გუნდს როდი წარმოადგენს, რომელიც ვარსკვლავებისაგან შედგება, იგი დიდი კოლექტიური ძალაც არის. დარწმუნებული ვარ, განაცხადა მან, რომ ურუგვაის ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის სერიოზული პრეტენდენტები იქნებიან.

კაჩალინმა განაცხადა: ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა შეგვესწავლა სამხრეთ ამერიკის სამი გუნდის ტაქტიკა და ტექნიკა. მათთან თამაში (ეს გუნდები კი ჩვენი მეტოქენი არიან მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩილეში) შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ ერთგვარი დასკვნა. მე მიმაჩნია, რომ არგენტინელები ინდივიდუალურად ვირტუოზულად თამაშობენ; ჩილელები — უფრო დინამიკური არიან; ურუგვაის გუნდი ძლიერია არა მარტო ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური მოქმედებითაც. არგენტინელები ნელი ტემპით თამაშობენ, ურუგვაელები — მეტად სწრაფი ტემპით.

ჩვენი გუნდის მოგზაურობა ყოველმხრივ სასარგებლო იყო, თქვა დასასრულ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გულთბილი მიღება, რომელიც ლათინურ ამერიკაში გაგვიწიეს. მოხარული ვართ, რომ ჩვენი ვიზიტი კარგი წვლილია ჩვენი ქვეყნების სპორტსმენთა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

## ფავორიტი სპორტსმენთა შორის

**ყოველი** წლის მიწურულში ჯამდება არა მარტო განვლილ შეჯიბრებათა და ჩემპიონატთა შედეგები, არამედ ეწყობა სპეციალისტთა და სპორტულ მიმომხილველთა გამოკითხვაც მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენის გამოსავლინებლად.

მიმდინარე სეზონში ასეთი გამოკითხვის წამომწყები დასავლეთ გერმანიის პრესა აღმოჩნდა. შეგროვილი ხმებით (113) პირველი ადგილი დაიკავა და მიმდინარე წლის ფავორიტად აღიარებულ იქნა საბჭოთა მძლეოსანი ვალერი ბრუმელი.

გარდა ბრუმელისა საბჭოთა სპორტსმენებიდან უძლიერესთა ათეულში მოხვდნენ ი. ვლასოვი და ი. პრესი.

## ათი ტურის შემდეგ

**ბაქო.** 1 დეკემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ეს დღე დათმობილი ჰქონდა გადადებულ და გამოტოვებულ პარტიებს.

გროსმაისტერ სპასკისა და საერთაშორისო ოსტატის ნეჟმეტდინოვის პარტიაში მდგომარეობა დაახლოებით თანაბარი იყო, ამიტომ მოწინააღმდეგეებს ბრძოლა არ განუახლებიათ და ყაიმით დაკმაყოფილდნენ.

სმისლოვმა კარგად გამოიყენა შამკოვიჩის წინააღმდეგ თავისი მატერიალური და პოზიციური უპირატესობა და გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. პოლუგაევსკიმ 63-ე სვლაზე დაამარცხა ხასინი.

ბაქოელი ოსტატის ბაგიროვისა და გროსმაისტერ კერესის პარტიაში მეტოქენი არ ცდილან პარტიის გართულებას, ბრძოლამ მშვიდად ჩაიარა, რასაც მე-17 სვლაზე ყაიმი მოჰყვა. მეორე გამოტოვებული პარტია ვასიუკოვსა და შიანოვსკის შორის არ დამთავრებულა, გადადებულია დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ ლიდერობას კვლავ სპასკი ინარჩუნებს, რომელსაც 7,5 ქულა აქვს.

# მტაცებლები — მახეში

**პარტიის** ახალი პროგრამა გადაჭრით მოითხოვს გამოვიმუშაოთ და ფართოდ დავნერგოთ საბჭოთა ადამიანებში კომუნისტური მშენებლობის მორალური კოდექსის ისეთი კეთილშობილური პრინციპები, როგორიც არის კეთილსინდისიერი შრომა, თვითეულის ზრუნვა საზოგადოების დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის, პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისა და უპატიოსნობისადმი.

ჩვენ ამ დიდი საკაცობრიო ამოცანის განხორციელებისათვის ყველა პირობა გაგვაჩნია.

ასეთ ვითარებაში განა შეიძლება მოვითმინოთ უქნარა და ხულიგანი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევი და ქურდი? განა შეიძლება დავუშვათ აზროვნებასა და მოქმედებაში ძველი ყოფის ეს საძულველი გადმონაშთი? რასაკვირველია, არა.

დიდი ხანი არ არის, რაც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივში ვარტკეს ოგანესიანი და კარაპეტ მურადოვი მიიღეს. ოგანესიანს ქარხნის კომუნალური საცხოვრებელი სახლების სახელოსნოში ხარატობა ასწავლეს, მურადოვი ქარხნის რკინიგზის საამქროში მემანქანედ დანიშნეს. კოლექტივმა იცოდა, რომ მურადოვს და ოგანესიანს ძალზე ცუდი წარსული ჰქონდათ, ისინი ნასამართლევი იყვნენ ქურდობისა და ძარცვისათვის. ამხანაგებმა გადაწყვიტეს ისინი სწორ გზაზე დაეყენებინათ, მაგრამ მორალურად გახრწნილი მურადოვი და ოგანესიანი კოლექტივს გაურბოდნენ და კვლავ ბნელ საქმეებზე ფიქრობდნენ...

მათ 2 საათით ადრე მიატოვეს სამუშაო და ქალაქში დაძრწოდნენ, რაღაც საეჭვოდ ათვალიერებდნენ მაღაზიებს, და აი კიდევაც წააწყდნენ მოხერხებულ შემთხვევას.

„იუველირტორგის“ მაღაზიამ შესვენების საათებში მუშაობა შეწყვიტა. მაღაზიის მუშაკმა ნაცვლად იმისა, რომ დაეკეტა სალარო, რომელშიც ოქროულობა ჰქონდა შენახული, ჩატოვა გასაღები სალაროს კარში, გამოკეტა მაღაზია და სასაუზმოდ წავიდა. მაღაზიის მუშაკის დაუდევრობა არ გამოეპარათ რეციდივისტებს ოგანესიანს და მურადოვს. როგორც კი გაეცალნენ მუშაკები მაღაზიას, ბოროტმოქმედებმა სწრაფად გააღეს მოსარგები გასაღებით კარი და სალაროდან გაიტანეს 35.000 მანეთის ღირებული ოქროული და 939 მანეთი ფული. ეს ფაქტი მხოლოდ დღის 4 საათზე გახდა ცნობილი რუსთავის მილიციის განყოფილებისათვის.

ბოროტმოქმედთა ძებნაში სწრაფად ჩაება რუსთავის მილიციის სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი კ. მებადური. დროზე დაწყებულმა ძიებამ მალე გამოიღო ნაყოფი. 12 საათის განმავლობაში მძარცველები შეპყრობილ იქნენ.

რეციდივისტმა მურადოვმა ვერ მოასწრო სახელმწიფო ქონების განიავება. მას სახლშივე მოუსწრეს მილიციის მუშაკებმა და წამოიღეს მაღაზიიდან წაღებული 30.000 მანეთად ღირებული ოქროს ნივთები და მოპარული ფული.

ბოროტმოქმედები მალე წარსდგებიან სამსჯავროს წინაშე.

**ქ. გიორგაძე,**
მილიციის პოდპოლკოვნიკი.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 4 დეკემბერს.

რედაქტორის მოადგილე
**გ. ვარდოსანიძე.**

**2 დეკემბერი**



**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — „დემონი“ (მე-13 აბონ მე-2 წარმ.), რუსთაველის სახელობის — პეპო, მარჯანიშვილის სახელობის — ფეხბურთელები, გრიბოედოვის სახელობის — მესამე სიტყვა.

**ტელევიზია:** 18.00 — ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის „პიონერული ახალი ამბები“, 18.40— გადაცემა — „ტექნიკა ხალხის სამსახურში“, 18.55 — კინონარკვევი, 19.05 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი ნაცნობი კინომსახიობები“ — პ. კადოჩნიკოვი, 19.35 — ახალი ამბები, 19.50 — საესტრადო სატელევიზიო ალმანახი „სალაღობო“, 20.40 — მხატვრული ფილმი „ერთგული მეგობრები“.

უე 05699

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.